# სარბიელი

საორტული გაზეთი | სამშაბათი 19 იანვარი 1999 №6 (779) | ფასი 50 თეთრი

2

## ტაილანდმა უარი გვტკიცა

ქართველებს „მეფის თასზე“ აღარ ეპატიჟებიან

2

## ვიტელებმა არმაზი დაისაკუთრეს

ნაკრებს მცხეთაში ფეხი ამოეკვეთა, რა ბედი ეწევა თსუ-ს?

4

## ქეცბაიას ლონდონური გოლი

თემურ ქეცბაიას ლამაზი გოლით დაწინაურებულმა „ნიუკასლმა“ „ჩარლტონთან“ გამარჯვება ვერ შეინარჩუნა



10

## ახალგაზრდობამ დანდობა არ იცის

ბიარტე ვიკი კვლავაც დაუმარცხებელია, ბენტე მარტინსენმა კი რუსული ტყე გაკაფა





REUTERS

# რომი ერთ დღეში არ აშენებულა

## თქვა მაიკ ტაისონმა ბოთას წაქცევის შემდეგ

შაბათს ღამით ლას ვეგასის „ემჯიემ გრენდ არენაზე“ მაიკ ტაისონმა ელვისებური დარტყმით დასცა სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა. ეს მოხდა მაშინ, როცა მეხუთე რაუნდის დასრულებამდე რვა წამიღა რჩებოდა. რეფერი რიჩარდ სტილმა მხოლოდ შვიდამდე დათვალა და ბოთას წაგება ანიშნა ხალხს. ამ დროს რაუნდის დასასრულამდე მხოლოდ წამი რჩებოდა *(მე-11 გვერდი)*.

# მარსელო მალამ მოცელა

ჯჯლ წლამდე ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებისათვის ყველაფერი კარგად მიდიოდა: მელბურნში ჩასვლა ისეთმა ვარსკვლავებმა გადაწყვიტეს, ბოლო წლებში ტურნირს წარამარა რომ აცდენდნენ — შტეფი გრაფმა, მონიკა სელეშმა, იანა ნოვოტნამ, რიჩარდ კრაიჩეკმა.

თუმცა იანვრის პირველი დღეებიდან ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

ოუფენზე ასპარეზობა ჯერ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა იუარა, აქაოდა გავსავათდიო, მერე ამას შარშანდელი ჩემპიონის — პეტერ კორდას დოპინგ-სკანდალში გახვევის გამო ჩოგბურთელების მხრიდან კინაღამ ტურნირის ბოიკოტი მოჰყვა, გუშინ კი ოზებმა კიდევ ორი ფავორიტი მოისაკლისეს.

იხილეთ მეათე გვერდი



ალექს კორეტხა

# ვიტელებმა არმაზი დაისაკუთრეს

**თბილისის „ვიტ ჯორჯია“ დღესდღეობით საქართველოში ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბი რომ არის, ეს ამ დღეებში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ვიტელებმა მცხეთის „არმაზის“ სტადიონის საკონტროლო პაკეტი შეიძინეს. ამიერიდან „არმაზი“ მათი საკუთრებაა. ამის თაობაზე „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტს გურამ რუხაძეს ვესაუბრეთ**



— როდესაც საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ ჩამოვაყალიბეთ, მიზნად მისი განვითარების ექსტენსიური გზა დავისახეთ, ესე იგი, გუნდის გაძლიერება უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად. გაძლიერებაში თავისთავად იგულისხმებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაც. მატერიალური მდგომარეობის თვალსაზრისით „ვიტ ჯორჯია“, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ამჯერად დღის წესრიგში სტადიონის საკითხი იდგა და ცოტა ხნის წინ ეს პრობლემაც მოვაგვარეთ.

**— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „არმაზი“?**

— თავიდან, როცა სტადიონის შეძენა გადავწყვიტეთ, გვქონდა ხუთი ვარიანტი. თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების შემდეგ კი ყველას „არმაზი“ ვამჯობინეთ. მართალია, ამჯერად იგი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, ყველაფერი თავიდან არის დასაწყები, მაგრამ ყველანაირი პირობაა იმისა, რომ იგი ევროპული დონის სტადიონად ვაქციოთ. ახლა პირველ ყოვლისა მინდვრის საფარს მივხედავთ, ასევე გადაწყვეტილი გვაქვს ტრიბუნების მოწესრიგებაც, სადაც ინდივიდუალური სკამები დაიდგმება.

**— ტრიბუნების აგებას მეორე მხარესაც ხომ არ აპირებთ?**

— ჩვენ არ ვართ იმის მომხრენი, რომ ყველაფერი უცბად გავაკეთოთ. არ გვინდა, მათ შორის მოვხვდეთ, ვინც უცბად გამოჩნდა ქართულ ფეხბურთში და უცბადვე გაქრა. ჯერ რაც არის, იმას შევაკეთებთ მაღალ დონეზე, შემდეგ კი, თუ მდგომარეობა მოითხოვს, მეორე მხარესაც ავაშენებთ. ისე, განზრახული გვაქვს სტადიონის გვერდით, ორი სავარჯიშო მინდვრის გაკეთება. მხოლოდ ერთი მინდვრით ნამდვილად ვერ შემოვიფარკლებით.

**— პირველ წრეში „არმაზზე“ სამი თბილისური კლუბი ატარებდა საშინაო შეხვედრებს, თქვენ, თსუ და „ლოკომოტივი“...**

— ამიერიდან „არმაზი“ „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრებაა და სხვა გუნდები იქ, ბუნებრივია, ველარ ითამაშებენ. „ლოკომოტივი“, როგორც ვიცი, მეორე წრეში ვაკეში აპირებს თამაშს, თსუ-ს კი, ალბათ, სხვა სარბიელის მოძებნა მოუწევს. ჩვენ მათთან ურთიერთობის გაფუჭება არ გვსურს, მაგრამ თუ კლუბის ჩვენი ხელმძღვანელები იტყვიან, რომ „არმაზზე“ მხოლოდ „ვიტ ჯორჯიამ“ უნდა ითამაშოს, ითამაშებს „ვიტ ჯორჯია“. ხოლო თუ მოხდა ისე, რომ მცხეთაში სხვა გუნდმაც ითამაშა, ეს იქნება ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობისაგან გაწვდილი დახმარების ხელი, თუმცა გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

**— გავიგეთ, ახალი სპონსორები გაგიჩენიათ.**

— თითქმის დასრულდა მოლაპარაკებები სამ ძალიან ძლიერ ფირმასთან. ერთი ამერიკული ფარმაცევტული ფირმა „ვაითჰოლ ლედერლეა“. იგი მსოფლიოში ძირითადად პრეპარატ „ცენტრუმის“ წარმოებითაა ცნობილი. „ცენტრუმი“ არის ვიტამინებისა და მინერალების კომპლექტი, რომელსაც ძალიან ფართოდ იყენებენ სპორტსმენები. ამ პრეპარატს ჩვენ ფეხბურთელებიც რეგულარულად ღებულობდნენ და ექიმების თქმით, ძალიან კარგ შედეგს იძლევა. მეორე სპონსორი იქნება ასევე ამერიკული ფარმაცევტული ფირმა „ალფარმა“, რომელთან მოლაპარაკებას მალე დავასრულებთ და უახლოეს ხანში კონტრაქტსაც გავაფორმებთ, ისევე, როგორც გერმანულ შოკოლადის მწარმოებელ „რიტერ შპორტთან“. ჩვენი ფირმა „ვიტ ჯორჯია“ წარმოადგენს ამ საწარმოების ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საქართველოში. თუ ბოლო მომენტში რაიმე გაუთვალისწინებელმა ფაქტორმა არ შეგვიშალა ხელი და ეს კონტრაქტები გავაფორმეთ, მაშინ მომდევნო სეზონიდან „ვიტ ჯორჯია“ რეკლამას გაუკეთებს პრეპარატ „ცენტრუმს“ და ფირმა „ალფარმას“. მატჩების 50 პროცენტს ჩავატარებთ მაისურებით, რომლებზეც დაიწერება „ცენტრუმს“, ხოლო 50 პროცენტს იმ მაისურებით, რომლებსაც „ალფარმას“ წარწერა დაამშვენებს. მოლაპარაკება დავიწყეთ ასევე ძალიან მძლავრ ფირმასთან. იგიც უცხოურია, თუმცა მისი დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, რადგან, ზემოხსენებულ ფირმებისგან განსხვავებით, მოლაპარაკებები ახალდაწყებული გვაქვს. ასე რომ, ძალიან სერიოზული სპონსორები გამოგვიჩნდა, რაც დასახული მიზნის მიღწევას კიდევ უფრო გაგვიიოლებს.

**ვანო ოქროპირიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მცხეთაში ნაკრებს ფეხი ამოეკვეთა, რა ბედი ეწევა თსუ-ს?

# ესპანეთი, მაგრამ არა სევილია

ესპანეთში წამსვლელი, მაგრამ მოულოდნელად შვეიცარიის ქალაქ ციურიხში აბარგებული გოჩა ჯამარაული ესპანეთს მაინც ეწვევა. იგი გუშინ ესტუმრა შვეიცარიას, დღეს კი მისი და „ციურიხის“ ხელმძღვანელთა შეხვედრაა დანიშნული. როგორც ციურიხიდან წუხელ გვაცნობეს, ჯამარაულსა და კლუბს შორის კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ყველაფერი, გოჩას „ციურიხში“ ჩარიცხვის საკითხიც მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, როცა გუნდი პირენეის ნახევარკუნძულიდან დაბრუნდება. ციურიხელები იქ 25 იანვარს მიემგზავრებიან მოსამზადებლად და მწვრთნელ რაიმონდო პონტეს გოჩა ჯამარაულისთვისაც დაუჯავშნავს ადგილი.

**კობა ინასარიძე**

# შეიცან თავი შენი!

## ნებიერიძე მარგვეთში მიდის

ფეხბურთელები და კლუბების მესვეურები დიდ ფაციფუცში არიან. საოცარი მეხსიერება უნდა გქონდეს, სეზონის განახლებამდე იმ მოთამაშეთა მცირე ნაწილის გვარები მაინც დაიმახსოვრო ქართულ გუნდებში რომ მიდიმოდიან. ადგილმონაცვლეობა მწვრთნელებს შორისაც შეინიშნება. ამ მხრივ მეათე ეროვნული მართლაც გამორჩეულია. თექვსმეტიდან თითქმის ნახევარმა კლუბმა უკვე მოასწრო თავკაცის გამოცვლა.

თსუ-ს კი უფროსი მწვრთნელის ერთ-ერთი თანაშემწე ავთო ნებიერიძესთან განშორება მოუწევს. იგი მეორეჯგუფელ ზესტაფონის „მარგვეთის“ დამრიგებლად მიიწვიეს და საქმეც გაიჩარხა.

ავთო ნებიერიძეს ქართულ ფეხბურთში მოღვაწეობის კარგა ხნის სტაჟი აქვს, თუმცა აქამდე იგი ყოველთვის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად გვევლინებოდა და ძირითადად გუნდის გოლკიპერთა გაწვრთნა ევალებოდა. დღევანდელ მოქმედ მეკარეთა უმეტესობას სწორედ მისი სკოლა აქვს გამოვლილი. აკაკი დევაძის და ზურაბ ბათიაშვილის დაოსტატებაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის. ჩემი აზრით, თვალსაჩინოებისთვის საკმარისი მაგალითია.

ჩვენთვის უცნობია ნებიერიძის თსუ-დან წასვლის მიზეზი, თუმცა ერთი რამ ნათელია — ყველა ადამიანი ცდილობს, ბოლომდე გააცნობიეროს, თუ რა შეუძლია. ამისათვის კი შეუზღუდავი სარბიელია საჭირო. თანაშემწისა და მთავარი მწვრთნელის ფუნქციათა არეალი რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, საკამათო არ უნდა იყოს. ასე რომ, არც ავთო ნებიერიძის არჩევანი უნდა მოგვეჩვენოს უცნაურად.

ამიერიდან სტუდენტთა გუნდის მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას თანაშემწეობას ელგუჯა ხუციშვილთან ერთად ნებიერიძის შემცვლელი ზაზა დიდებაშვილი გაუწევს.

**ხვიჩა სანიკიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ავთო ნებიერიძე (მარცხნივ) გუჯა ხუციშვილს დაემშვიდობა

# არმიელებმა ლოკომოტივს ლიანდაგი ჩაუხერგეს

თებერვალში ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება, მანამდე კი გუნდები სამზადისში არიან. პირველი ჯგუფის თითქმის ყველა კლუბმა მოსამზადებელი ციკლი უკვე დაიწყო, იძალა სატრანსფერო ციებ-ცხელებამაც, ზოგი შინ ემზადება, ზოგი უკეთესი სავარჯიშო პირობების ძიებაშია. არიან ისეთებიც, უცხოეთში რომ აპირებენ მომზადებას.

ზოგიერთმა გუნდმა საკონტროლო მატჩებიც ჩაატარა. დღეს უკვე გამართული შეხვედრების ანგარიშებსაც გაცნობებთ და უახლოეს ხანში გასამართ მატჩებზეც გეტყვით:

„ზოოვეტი“ — „სიონი“ 1:1, „არსენალი“ — „ლოკომოტივი“ 2:2, „დინამო 2“ — „არსენალი“ 2:0, „დინამო“ — „დინამო 2“ 2:1, „არსენალმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ ორჯერ ითამაშეს, სათადარიგოთა მატჩი 1:0 მორჩა, ძირითადმა არმიელებმა კი 2:1 გაიმარჯვეს.

დღეს 12 საათზე დიღომში „ლოკომოტივის“ ბაზაზე რკინიგზელები „სიონს“ შეხვდებიან, ხვალ კი „დინამო 2“ მოსკოვში გამგზავრებამდე 13 საათზე „დინამოს“ ბაზაზე „ვიტ ჯორჯიას“ გაეჯიბრება. ვიტელებს „დინამოც“ შეხვდება ორჯერ 23 და 27 იანვარს. „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ ერთი შეხვედრა აქვს დაგეგმილი, 31 იანვარს „მრეტებს“ ეთამაშება. რაც შეეხება „მერანს“, ტრანსპორტელები საკონტროლოებს 26, 28, და 30 იანვარს გამართავენ, სამივე მატჩს ავჭალაში, „სინათლეზე“. მერანელები შესაბამისად, „ცხუმს“, „მრეტებს“ და „სიონს“ 12 სთ-ზე უმასპინძლებენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ტაი-ლანდი

ტაილანდელებს, იმის ნაცვლად, რომ ჩვენებურთათვის „მეფის თასზე“ მონაწილე გუნდების ვინაობა შეეტყობინებინათ, მთლად საპირისპირო შინაარსის ფაქსი გამოაგზავნეს. ჯადი ბოდიში, მაგრამ პრობლემების მოძალების გამო გვიჯობს ტურნირი მომავლისთვის გადავდოთ. სავარაუდოდ გაზაფხულზე შეგეხმიანებით და ალბათ, მაის-ივნისში ხელახლა მოგიწვევთო.

ჩვენებს კი, ლამის იყო უკვე ბანგკოკში გასამგზავრებელი ბილეთები დაეჯავშნათ. ახლა უკვე ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობაზეა, დათანხმდებიან თუ არა ტაილანდში გაზაფხულზე თამაშს. ჩვენი აზრით ეგ გამორიცხული უნდა იყოს, რადგანაც ჩვენებს ამ პერიოდში ისეც გადატვირთული გრაფიკი აქვთ. სლოვენია, უკრაინა, ნორვეგია, შესაძლოა რუმინეთთან თამაშიც ამ თვეებში დაინიშნოს. ასეთ დროს აზიაში ერთი კვირა ყოფნა კი, არა გვგონია, ნაკრებისთვის სასარგებლო იყოს. თუმცა იმასაც გააჩნია, ტაილანდელები რა დღეებში მოისურვებენ ჩვენს მიპატიჟებას.

ისე არც მკითხველს გაუმართლა. ტაილანდიდან რომ ასეთი წერილი არ მოეწერათ, დღევანდელ „სარბიელში“ ბანგკოკში წამსვლელ ფეხბურთელთა სიას წაიკითხავდით. ალბათ, ასე უფრო აჯობებდა, მაგრამ ტაილანდელებისას რას გაიგებ.

**კობა ინასარიძე**

# სტუდენტები უნივერსიტეტს ტოვებენ

## თსუ დინამოს ისევ ეკურკურება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შარშანდელი გაურკვეველი მდგომარეობა წლეულსაც გადმოჰყვა. თუმცა კლუბის მესვეურები ყველანაირად ცდილობენ, რაც შეიძლება ადრიანად მოაგვარონ პრობლემები და პირველი წრის დასაწყისისგან განსხვავებით, სეზონის განახლებამდე დროულად დაიჭირონ თადარიგი. სტუდენტთა გუნდის დირექტორატი უახლოეს დღეებში შეიკრიბება და შინაურ საქმეებზე იმსჯელებს. მანამდე კი მხოლოდ წამსვლელ ფეხბურთელთა ვინაობა გახდა ცნობილი. მეკარე ბათიაშვილისა და თავდამსხმელ წიტაიშვილის „დინამოში“ გადაბარგების შესახებ ადრინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. თსუ აგრეთვე დატოვეს ბახტაძემ, კაკუბავამ, ცომაიამ, ჭიაბრიშვილმა, ებრალიძემ, სულაძემ და სვანიძემ.

რაც შეეხება შევსებას, გუნდში ისინჯებიან რამდენიმე ახალბედა ფეხბურთელი. მათი ბედი სამ-ოთხ დღეში გაირკვევა. მიმდინარეობს მოლაპარაკება „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან იმ მოთამაშეების თსუ-ში განათხოვრების შესახებ, რომლებსაც ისინი დღესდღეობით ადვილად შეელევიან. ამ ორ კლუბს შორის ასეთ გარიგებებს ადრეც ჰქონდა ადგილი. სწორედ ამგვარი პრინციპის გათვალისწინებით იცავდნენ უნივერსიტეტელთა ღირსებას ბათიაშვილი და წიტაიშვილი. ვნახოთ, კიდევ ვინ გაიზიარებს მათ ბედს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# მოდი, ვნახოთ მსაჯები

## თანამეგობრობა კვარაცხელიას იმედად

ქართველი მსაჯებისთვის ახალი წელი არცთუ იღბლიანად დაიწყო. სამსაჯო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ ჩვენი შავოსნები რომ გვარიანი დილემის წინაშე დააყენა, ამაზე „სარბიელის“ წინა ნომერშიც ვიუწყებოდით — მსაჯთა ატესტაციის პირველი ტური ბევრისთვის მართლაც დიდ სიძნელედ იქცა. თუმცა გვარიანად შეფუცხუნებული ქართველი არბიტრები დროგამოშვებით სავალდებულო ნორმატივების ჩაბარებასაც აზერხებენ.

შარშან ეროვნული ნაკრების მალტური ტრიუმფის უშუალო მონაწილე ოთარ გუნთაძეც იყო — ქართველი მსაჯი კუნძულზე საერთაშორისო ტურნირის მატჩებს ემსახურებოდა. წესით და რიგით მსგავსი ტურნირის განსჯის პატივი ქართველ არბიტრს წლეულსაც უნდა რგებოდა, მაგრამ... გადაწყვეტილი ამბავია, თებერვლის ბოლოს ტაილანდის „სამეფო თასის“ გათამაშებას ქართული სასტვენი ვერაფრით შეეწევა. არადა, ბანგკოკში ტურნირში მონაწილე ქვეყნების მსაჯების გამოსვლაც მოსალოდნელი იყო.

ასე რომ, დაგვეჩაგრნენ არბიტრები, თუმცა ბოლომდე არც მასეა საქმე: წლეულს გამართულ საატესტაციო სემინარებში ერთ-ერთი ფრიადოსანი მსაჯი — სერგო კვარაცხელია იანვრის ბოლოს მოსკოვში „თანამეგობრობის თასის“ გათამაშებას მოემსახურება.

**ბაატა ძვანტალიანი**

# თექვსმეტი ზუგდიდელი

მოახლოვდა მეორე წრე. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა ადრიანად დაიჭირეს თადარიგი და მზადება დაიწყეს.

მას შემდეგ, რაც ფინანსური გაჭირვების გამო „ოდიში“ მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა (ყველა არაზუგდიდელმა და რამდენიმე ადგილობრივმა) დატოვა, გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, აქცენტი საკუთარი ქალაქის ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადაეტანა, თუმც თავადაც ხვდებიან, რომ ასე ფონს გასვლა ძალიან გაუჭირდებათ.

16 იანვარს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე წლეულს პირველად შეიკრიბნენ გუნდის ხელმძღვანელები და ფეხბურთელები. მთავარმა მწვრთნელმა სოსო ჭედიამ თექვსმეტ მოთამაშეს მოუყარა თავი. აქედან ორი მეკარეა, მაგრამ იმ თექვსმეტი შეგირდიდან უმეტესობა „ოდიში 2“-ისა და ბავშვთა სკოლიდან გადმოყვანილი ფეხბურთელები არიან. მათთან ერთად ვარჯიშობს მეორე ჯგუფში მოასპარეზე განმუხურის „ენგურის“ სამი მოთამაშეც, მაგრამ ვიხილავთ თუ არა მათ „ოდიშის“ შემადგენლობაში, ჯერჯერობით უცნობია.

კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ჯემალ გოგიამ შექმნილ მდგომარეობას კატასტროფული უწოდა.

თუ ქალაქის ხელმძღვანელობა კლუბს ფინანსურ დახმარებას არ გაუწევს, „ოდიში“ ჩემპიონატის ჩამთავრებას კი არა, მეორე წრის დაწყებასაც ვერ შეძლებს.

ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ გუნდს ფეხბურთის ფედერაციის ვალი აქვს, რომელიც საჩქაროდ არის გადასახდელი.

მიუხედავად ასეთი სიდუხჭირისა, გუნდი მაინც აპირებს თბილისში მინიფეხბურთის ტურნირში მონაწილეობას.

**თენგიზ ქორჩუა ზუგდიდიდან**

# მიხეილ ქორქიამ ძალები აღიდგინა

როგორც გაუწყებდით, საახალწლოდ ქუთაისის „ტორპედოში“ ბევრ სიკეთესთან ერთად არასასიამოვნო ამბავიც მოხდა — 5 იანვარს კლუბის პრეზიდენტს გულმა შეუტია. სასწრაფო დახმარებამ მიხეილ ქორქია მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანა და საავადმყოფოში მოათავსა.



თემურ ჯავახაძის ფოტო

ბატონო მიხეილ, ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ...

გუშინ დავუკავშირდით ბატონი მიხეილის მეუღლეს, რომელმაც იმედიანად გვითხრა — ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად არის, მკურნალობამ შედეგიანად ჩაიარა. რამდენიმე დღეა, მიშა საწოლიდან წამოდგა და, როგორც ექიმები ირწმუნებიან, ხვალ გამოწერენ კიდეც.

გულის კუნთის მოდუნება — ასეთი დიაგნოზი დაუსვეს კარდიოლოგებმა ქუთათურ ფეხბურთელთა პრეზიდენტს. ავადმყოფობის მიზეზად კი მკურნალებმა ზედმეტი დატვირთვა და, როგორც ყოველთვის, სიგარეტის წევა დაასახელეს.

ქორქია რომ მართლაც ზედმეტად დაიტვირთა, ფაქტია. „ტორპედოში“ მისვლის შემდგომ ორი თვის განმავლობაში მართლაც ბევრის გაკეთება შეძლო. ნახევრად დაშლილი და ვალებით გამოტენილ გუნდში სანერვიულოც მრავლად გაუჩნდა. მომქანცველ საქმიანობასა და ნერვიულობას კი აბა, ვისთვის დაუყრია ხეირი?

საბედნიეროდ, ქუთაისის „ტორპედოს“ მშველელად მონათლული კალათბურთის ექსვარსკვლავი ნათლისღების დღესასწაულს გამოჯანმრთელებლი შეხვდება. ოთხშაბათიდან მიხეილ ქორქია კი თავისი მოვალეობის შესრულებას განაახლებს.

**ხვიჩა სანიძიძე**



თუ მსაჯები კარგად მოემზადნენ, მათაც და სამართალდამცავებსაც ნაკლები სანერვიულო ექნებათ

მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეც სულ მალე დაიწყება. წრეებს შორის შესვენებისას ყველას თავისი გასაჭირი აწუხებდა. ფედერაციას მოშლილი საფეხბურთო მეურნეობა მოსვენებას არ აძლევს, კლუბებს სატრანსფერო საკითხები და დაცარიელებული ხაზინა ადარდებთ, გულშემატკივრებს უფეხბურთობა მოსწყინდათ და ასე შემდეგ.

ჩვენი ყოფა ისეთია, საფიქრალი არავის აკლია, მაგრამ ყველაზე დიდი თავსატეხი მაინც მსაჯებს გასჩენიათ. ცხადად თუ არა, მალულად მაინც უმეტესობა ძველ დროს მისტირის. რა კარგი იყო მაშინ, იტყვიან „შავოსნები“ და ყრილობამდელ პერიოდს გაიხსენებენ.

და რა სჭირთ მსაჯებს უშველებელიო, იკითხავთ. რა სჭირთ და განკითხვის დღე უდგათ ჩვენს ნაპატივებ არბიტრებს. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელი ანატოლი მილჩენკო ექცათ „მტანჯველად“. თუ ასე გაგრძელდა, დაგვხოცავს ეგ კაციო, წუწუნებენ მსაჯები.

კი მაგრამ, რა მოიმოქმედა მილჩენკომ ისეთი, დღედაღამ მის მზეს რომ „ფიცულობენ“?! განსაკუთრებული და აქამდე გაუგონარი არც არაფერი უთქვამს მსაჯთა ხელმძღვანელს და არც მოუთხოვია. დანიშნეს კაცი თანამდებობაზე და მანაც თქვა, აწი წესის და კანონის თანახმად გავირჯებითო. დავაკონკრეტოთ ნათქვამი. თუ სეზონის დაწყებამდე მსაჯები ნორმატივებს არ ჩააბარებთ, პირობას გაძლევთ, სასტვენს ხელში ვერ აიღებთო. მილჩენკომ განაცხადა, ხოლო მერაბ ჟორდანიამ ბეჭედიც დაასვა ხელქვეითის მოთხოვნას.

სანამ მთავარ სათქმელს ვიტყოდეთ, მანამდე წარსული გავიხსენოთ. არაერთ გამოცდას დავსწრებივართ და საკუთარი თვალით გვიხილავს, რაც იქ ხდებოდა. ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკებზე გამწკრივებული მსაჯები სირბილს იწყებდნენ. თავიდან ყველას ყინჩად ეჭირა თავი, ხუმრობის ხასიათზეც კი იყვნენ, მაგრამ ერთი წრის შემდეგ იქაურობა ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა.

როგორი სანახავია წრეზე მბობლავი, სუნთქვაშეკრული და ენაგადმოგდებული კაცი. თითოეულს შეეძლო შუა გზაზე გაჩერება, მაგრამ ყველა ფინიშამდე მისვლას ლამობდა. რა თქმა უნდა, დროში ჩატევაზე ზედმეტია საუბარი.

ნორმატივებს წესისა და რიგის მიხედვით ერთეულებილა თუ აბარებდნენ. რაღა ექნა ფედერაციას, ადგებოდა და ყველას ჩაუთვლიდა. რა ექნათ, ჩემპიონატს ხომ ვერ ჩავშლითო, იტყოდნენ. ასე მოხდა ერთხელ, მეორედ და მალე უკანონობა წეს-ჩვეულებაში გადაიზარდა.

ფედერაციაში ისეთი მსაჯებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც თავისიანთა შორის „პარადი“ მიჰყავდათ. ზოგი თავს იკლავდა, რათა არ შერცხვენილიყო, ისინი კი, ნორმატივების ჩაბარებას ვინ ჩივის, გამოცხადებას და დასწრებასაც არ კადრულობდნენ.

უთავბოლობის შედეგიც მალევე მოვიმკეთ. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში არბიტრთა შეცდომები მომრავლდა. ზოგს ნებსით, ზოგსაც უნებლიედ ბრალდებოდა თამაშის გაფუჭება. წარსულის ცოდვები ისტორიამ ჩაიბარა და მათზე გამოკიდება ჩვენს ფეხბურთს დიდად არაფერში წაადგება. უბრალოდ, ერთიც სათქმელია, წონამომატებული და ჩაკურატებული მსაჯი მატჩის რიტმს ჩამორჩებოდა, მოედნის ერთი ნახევრიდან მეორეზე გადაადგილებას ვერ ასწრებდა და, ბუნებრივია, შეცდომებიც მატულობდა.

ყველაფერი ეს იცოდა ანატოლი მილჩენკომ. თუ მან არა, მის თანაშემწეებს ნიკა ამირეჯიბს და კომპანიას არაფერი გამოეპარებოდათ. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ახალმა ხელმძღვანელებმა მერმინდელი გართულებების თავიდან ასაცილებლად აქედანვე სიმკაცრე გამოიჩინეს.

თუ ფეხბურთის ფედერაციის ახალი ადგილსამყოფელისკენ გაივლით, არაერთ ნაცნობს გადაეყრებით. ამათგან ისეთებიც გამოერევიან, ვისი იერიც ძალიან გეცნობათ, მაგრამ გახსენება გიჭირთ. მერე კარგად დააკვირდებით და ხელში ნაცნობი მსაჯი შეგრჩებათ. გამხდარი, წელში გამოყვანილი, ლოყებჩავარნილი და უფერული.

მიხვალთ ახლოს, მოიკითხავთ, ისინიც თავისას გეტყვიან და თან დაღლილი ხმით დააყოლებენ — დავრბივართ, რეჟიმში ჩაგვსვეს და სხვა გამოსავალიც არა ჩანსო.

მილჩენკომ ესენი ფორმაში კი ჩააყენა, მაგრამ ახლა ერთი თავსატეხი თავად გაუჩნდა, წონადაკლებული მსაჯებისთვის შესაბამისი ზომის სამოსიც საშოვნელია. ალბათ, თბილისელ მკერავებს საქმე მოემატებათ. მსაჯთა ტრუს-მაისური იქნება გადასაკეთებელი.

ნორმატივები გრძელდება, შედეგები კი სავალალოა. მისი ჩაბარება მხოლოდ რამდენიმემ თუ შეძლო. ისე, საქართველოში ლამის ორიოდ ფეხბურთელი დაგვრჩეს ისეთი, ბურთის ნორმალურად გორება რომ შეუძლია და თავისი საქმის მცოდნე არბიტრიც ამდენივე თუ მოგვეძევება.

არადა, მსაჯობა იციან. რამდენი სადავო მომენტი გვინახავს, სწორად რომ შეუფასებიათ. თუ კეთილსინდისიერად სჯიან, მაშინ მათ მოქმედებას წუნი ძვირად თუ დაედება, მაგრამ...

მსაჯიც ადამიანია, მასაც სხვასავით ოჯახი ჰყავს და ოჯახს რჩენა უნდა. აქამდე რასაც იღებდნენ არბიტრები, ხომ ვიცოდით, აწი მათ „გამოკვებას“ ფედერაცია კისრულობს და ვნახოთ, რა იქნება.

ბოლოს ერთიც უნდა ვთქვათ. ქართველმა „შავოსნებმა“ კარგა ხანია, ევროპული სარბიელის კარი შეაღეს, მაგრამ რომელი ერთი დაიკვეხნის პრინციპული მატჩების განსჯას?!

არ ყოფილა ჯერ ასეთი შემთხვევა. ამას რომ ვამბობთ, ყრუაშვილის, მიმინოშვილის და მილჩენკოს ნაღვაწს არ ვგულისხმობთ. ახლანდელების ნამსახური ინტერტოტოს მატჩებით და საკვალიფიკაციო თამაშებით თუ შემოიფარგლება. უკეთეს შემთხვევაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ჯგუფების ისეთ მატჩებს ანდობენ, რომლებიც არაფრის მომცემია და საბოლოო შედეგებზეც გავლენას ვერ იქონიებს.

და რატომ ხდება ასე, რატომ შეგვიძულა ფიფამ და უეფამ?! მათ ბრალი არაფერში მიუძღვით. ჩვენში არ არიან უმაღლესი დონის მსაჯები, ისეთები, მსოფლიო ფეხბურთში „ტოპ-კლასის“ არბიტრებად რომ არიან მონათლულნი.

ჩვენებურები მწყრალად არიან უცხოურ ენებთან. ვერც ერთი მათგანი ვერ ისაუბრებს გამართულად ინგლისურ ენაზე. ამაში აზრის გასაგებად გადმოცემას ვგულისხმობთ, თორემ შექსპირს ორიგინალში რომ ვერ წაიკითხავენ, ფიფამ და უეფამ კარგად უწყიან. დროა, ახალმა ფედერაციამ ამ მხრივაც იმუშაოს. ისე, სადაც კი იყვნენ ჩვენი მსაჯები, ინტერტოტოზე თუ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებზე, ყველგან მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

მსაჯთა ასაკიც გასათვალისწინებელია. დიდხანს ამსაჯოთ ღმერთმა, მაგრამ მოვა დრო და დაავდებენ სასტვენს თამაზ ლაცაბიძე, ოთარ გუნთაძე, სერგო კვარაცხელია, მერაბ მალალურუძე, გურამ ასკაროღლი. მერე რა იქნება, თითო-ოროლა ახალგაზრდა უშველის მსაჯთა კორპუსს, თუ საპენსიო ასაკი გადავწიოთ ათიოდ წლით?

სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ფედერაციის ახალ ხემლღძვანელებს მსაჯთა დაბადების თარიღებიც გასარკვევად დარჩენიათ. ამბობენ, ბევრია ისეთი, რომელთაც დაბადების წელი გადაკეთებული აქვთო. მომრავლდნენ ჩვენში ვეტერანი, მაგრამ დამწყები მსაჯები. ეს ადრე ფეხბურთელებს ჩვეოდათ. ზოგს თავგზა ისე დაებნა, რომ ნამდვილი დაბადების წელი ავიწყდებოდა. არ გვეგონა, თუ მსგავსს მსაჯები იკადრებდნენ. ნათქვამია, არ არს დაფარულიო... ესეც გაცხადდება და მერე გვიან იქნება.

პრობლემები და არაერთი თავსატეხი მოსძალებიათ ჩვენს მსაჯებს. ბევრი ძველ დროებასაც კი ნატრობს, მაგრამ, აბა, მკვდარი როდესმე გაცოცხლებულა?! იმედია, ზღუდეს მაინც გადალახავენ არბიტრები, გაუჭირდებათ, მაგრამ სხვა გზა არა აქვთ.

მანამდე კი დარბიან, ვარჯიშობენ დღეში ორჯერ და თავბედს იწყევლიან. ფედერაციაში კი ერთმა ენამოსწრებულმა ასე იხუმრა, შეხედეთ მსაჯებს, თითო დაბანალა დარჩნენო. გაუძლებენ, როგორ არა, ამათ ისეთისთვის გაუძლიათ, სირბილი მონაგონიაო, აუბა მხარი მეორემ.

და დარბიან მსაჯები...

**მამუკა ძვანტალიანი**

## ინგლისი

### XXII ტური

**ჩარლტონი 2:2 ნიუკასლი**

0:1 ქეცბაია (13), 0:2 სოლანო (55), 1:2 ბრაიტი (64), 2:2 პრინგლი (90)
ჩარლტონი: როისი, მილსი, პაუელი, იუდსი, ნიუტონი (კონჩესკი 63), კინსელა, მანტი (ბრაიტი 63), რობინსონი, ჯონსი (პარკერი 79), ტილერი, პრინგლი
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, ჰოუი, შირერი, სპიდი, ქეცბაია (დალგლიში 89), გეორგიადისი, სოლანო (მიუზი 79), დომი, დაბიზასი, ბრედი (შარვე 72)
გაფრთხილება: შირერი, დაბიზასი, გეორგიადისი
გაძევება: დაბიზასი (77)
მსაჯი: ჯონსი

**ტოტენჰემი 0:0 უიმბლდონი**

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კალდერვუდი (ვეგა 76), კემპბელი, ედინბურგი, სინტონი (ფოქსი 19), ფრეინდი, კლემენსი (ტარიკო 71), ჟინოლა, არმსტრონგი, ივერსენი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ერდლი (კენედი 75), ერლი, რობერტსი, ჰიუზი, ჰართსონი (ლიბერნი 85), გეილი (ეკოკუ 75)
გაფრთხილება: ჟინოლა, ჰართსონი, კანინჰემი, რობერტსი
მსაჯი: რილი

**დერბი 1:0 ბლექბერნი**

1:0 ბარტონი (84)
დერბი: პოომი, პრაიორი, კარბონარი, შნური, ერანიო, ბოჰინენი (ჰარპერი 75), კერსლი, ბაიანო (კოზლუკი 84), დორიგო, სტარიჯი, ბარტონი
ბლექბერნი: ფილანი, კენა, ენჩოსი, ბრუმსი, დევიდსონი, უილკოქსი, შერვუდი, მაკკინლი, გილესპი, ბლეიკი, უორდი
გაფრთხილება: ბაიანო, შნური, მაკკინლი, ბრუმსი, კენა
მსაჯი: გალაჰერი

**ლივერპული 7:1 საუთჰემპტონი**

1:0 ფაულერი (22), 2:0 მატეო (35), 3:0, 4:0 ფაულერი (37, 47), 5:0 კარაგერი (55), 5:1 ოსტენსტადი (59), 6:1 ოუენი (63), 7:1 ტომპსონი (73)
ლივერპული: ჯეიმსი, ჰეგემი, ბები, მატეო, კარაგერი (კვარმე 79), ბიორნებიუ, რედნაპი, ინსი (ტომპსონი 73), ბერგერი, ოუენი (რიდლე 73), ფაულერი
საუთჰემპტონი: ჯონსი, ლუნდეკვამი, პიუზი, ოსტენსტადი, ჰოუელსი (ოუკლი 63), ბიტი, ბრიჯი (ლე ტისიე 46), პილი, მონკი, კეჩლოული, კოლეტერი
გაფრთხილება: კარაგერი, ინსი, მონკი, კოლეტერი, პიუზი
მსაჯი: რენი

**ლიდსი 2:0 მიდლსბრო**

1:0 სმიტი (21), 2:0 ბოუიერი (27)
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, ვეზეროლი, რადებე, ჰოპკინი, ბოუიერი, მაკფეილი (ჰაალანდი 77), გრენვილი, კიუელი, სმიტი (კორსტენი 82), ჰასელბაინკი
მიდლსბრო: შვარცერი, ვიკერსი, ფესტა, პალისტერი, ფლემინგი, მედისონი (ბეკი 63), გესქოინი (კუპერი 63), მასტო, გორდონი, დინი, რიკარდი
გაფრთხილება: ჰარტი, ფლემინგი, რიკარდი, პალისტერი
მსაჯი: ლოჯი

**ლესტერი 2:6 მანჩესტერი**

0:1 იორკი (10), 1:1 ზაგორაკისი (35), 1:2, 1:3 კოული (49, 61), 1:4 იორკი (63), 2:4 უოლში (73), 2:5 იორკი (84), 2:6 სტამი (90)
ლესტერი: კელერი, ალსორნი, უოლში, ტაგარტი, კამარკი (კემპბელი 71), ზაგორაკისი, ლენონი, იზეტი, გაპი, კოტი (ფენტონი 89), უილსონი (პარკერი 71)
მანჩესტერი: შმაიხელი, ბრაუნი (გ. ნევილი 45), სტამი, ბერგი, ირვინი, ბლომკვისტი, ბექემი, კინი, გიგზი, კოული, იორკი
გაფრთხილება: უოლში, ლენონი, კინი, ბლომკვისტი
მსაჯი: დანი

**ნოტინგემი 0:1 არსენალი**

0:1 კიოუნი (34)
ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი, ჰილდე, ჯემილი, ჯონსონი, ბარტ-უილიამსი, არმსტრონგი, ბონალაირი (შიპერლი 75), დარშევილი (ქუეში 85), ლიტლი, ვან ჰოიდონკი
არსენალი: მენინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ, გარდე, პეტი, ოვერმარსი (ვივასი 69), ბერხკამპი, ანელკა (აპსონი 86)
გაფრთხილება: ჯონსონი, დარშევილი, ჯემილი, ვინტერბერნი, გარდე
მსაჯი: დარკინი

**ასტონ ვილა 3:0 ევერტონი**

1:0, 2:0 იოაკიმი (40, 51), 3:0 მერსონი (78)
ასტონ ვილა: ოუქსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, უოქსონი, შიმეცა, ტეილორი (მერსონი 59), ჰენდრი (დრაპერი 82), რაიტი, იოაკიმი, დაბლინი (კოლიმორი 46)
ევერტონი: მირი, კლელანდი, უოტსონი, დაკორტი, ბოლი, ბარმბი, ოსტერი (კადამარტერი 83), გრანტი (უორლი 69), ატკინსონი, მატერაცი, ბაკაიოკო (ბრენჩი 83)
გაძევება: კლელანდი
გაფრთხილება: დაბლინი, კლელანდი, მირი
მსაჯი: ბარი

**ჩელსი 2:1 ქოვენთრი**

0:1 ჰაკერბი (9), 1:1 ლებეფი (45), 2:1 დი მატეო (90)
ჩელსი: დე გუი, ფერერი (გოლდბეკი 85), ლამბურდი, ლებეფი, ლე სო, პეტრესკუ, უაიზი, დი მატეო, ბაბაიარო, ვიალი, ძოლა
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, შოუ, უილიამსი, ბაროუზი, ტელფერი, მაკალისტერი (ალოიზი 90), სოლტვედტი, ფროგატი, ჰაკერბი, ბოტენგი
გაფრთხილება: ტელფერი, ჰედმანი, ბაროუზი
მსაჯი: ვინტერი

**ვესტ ჰემი 0:4 შეფილდი**

0:1 ჰინჩკლიფი (26), 0:2 რუდი (31), 0:3 ჰემფრიზი (68), 0:4 კარბონე (73პ)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი (კოული 42), ფერდინანდი, პირსი, ლამპარდი, ლომასი, ბერკოვიჩი (კიტსონი 64), კელერი, მინტო, აბუ, სინკლერი
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ჰემფრიზი, ჰინჩკლიფი (ბრისკო 76), ტომი, რუდი, ალექსანდერსონი, სონერი
გაფრთხილება: კოული, კელერი, პირსი, სონერი
მსაჯი: ბერგი

# მაინცდამაინც მაშინ...

ლონდონურ „ჩარლტონ ატლეტიკს“ შარშანდელი ნოემბრის შუა რიცხვებიდან ქულა რაა, ისიც არ მოუპოვებია. ეს ტრადიცია პრემიერლიგის აუტსაიდერმა მაინცდამაინც „ნიუკასლთან“ დაარღვია და მაინცდამაინც მაშინ, როდესაც თემურ ქეცბაიამ კარგა ხნის შესვენების შემდეგ გოლი გაიტანა.

ქართველის გოლი მართლაც ლამაზი სანახავი გამოდგა. ეს ერთხმად აღნიშნეს საინფორმაციო სააგენტოებმა — ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა, გზად ორი მცველი „მოტეხა“ და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მერე სტუმრები უფრო წინ გაიჭრნენ. ქართველს პერუელმა ნოლბერტო სოლანომ აუბა მხარი — 2:0. ეს 55-ე წუთზე მოხდა. „ნიუკასლმაც“ დროზე ადრე დაიმშვიდა გული და შემდეგ რაც მოხდა, თავის თავს უნდა დააბრალოს.

ახალი შესული იყო შეცვლაზე (წამების) მარკ ბრაიტი, თავით ერთი საპასუხო რომ გაიტანა. მერე „ნიუკასლის“ ბერძენმა ლეგიონერმა ნიკოს დაბიზასმა ველარ მოთოკა ნერვები და თავისიანები რიცხვობრივ უმცირესობაში დატოვა. „ჩარლტონიც“, ბუნებრივია, გააქტიურდა, თუმცა ვერა და ვერ გაჰქონდა...

მსაჯის მიერ დამატებულ დროში მასპინძლებმა ორჯერ გაიტანეს. აქედან პირველი იმავე ბრაიტმა რომ შეაგდო, არბიტრმა არ ჩათვალა — ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო, აღნიშნა. არადა, გამეორებაზე აშკარად გამოჩნდა — ნაღდი გოლი იყო. რამდენიმე წამის შემდეგ „ბენფიკადან“ ნათხოვარი პრინგლის გოლი კი ეჭვს აღარ იწვევდა და „ნიუკასლიც“, სამწუხაროდ, მხოლოდ ქულას დასჯერდა.

ლონდონში ასეთი ამბები დატრიალდა კვირას. წინა დღეს კი ლესტერსა და ლივერპულში ბურთი 16-ჯერ გაეხვია კარის ბადეში. თანაც თანაბრად — რვა-რვაჯერ.

„ლესტერს“ ძალიან მძიმე დღე გაუთენდა — „ვესტ ჰემის“ დარად, მანჩესტერელმა შავებმა, დუაიტ იორკმა და ენდი კოულმა, არც იქაური „სიტი“ დაინდეს.



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ქოვენთრი 2:1. ჯანლუკა ვიალიმ ბურთისთვის ბრძოლისას რიჩარდ შოუს გადაურბინა

ანგარიში ტრინიდადელმა ფორვარდმა გახსნა, რომელიც კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. ცოტა ხანში კი გაქვითა თეო ზაგორაკისმა მეტად ლამაზი შორეული დარტყმით, მაგრამ ძალა ხომ აღმართს ხნავს.

მეორე ტაიმის დებიუტში კოულმა გაილაღა — დუბლი შეასრულა. მერე კვლავ იორკის დრო დადგა, კიდევ ორჯერ გაუტანა ამერიკელ მეკარე კეისი კელერს და საბოლოოდ ჰეთ-ტრიქიც შეასრულა. თუმცა მის ბოლო ორ გოლს შორის მასპინძლებმა, კერძოდ სტივ უოლშმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ხოლო როდესაც მსოფლიოს უძვირფასესმა მცველმა, მკაცრი და ამავდროულად ბრიყვული შესახედაობის მქონე იაპ სტამმა 90-ეზე მატჩს წერტილი დაუსვა, სტუმართა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა რატომღაც გულიანად გადაიკისკისა.

— დიდებულ ფორმაში ვართ. თამაშისგან მხოლოდ სიამოვნებას ვიღებ და არა მგონია, წლეულს „მანჩესტერს“ ვინმემ აჯობოს — იორკი მშვენიერ ხასიათზე გახლდათ.

— ძალიან გამიხარდა, როცა გავიტანე. ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ვფიქრობ, ჩვენ შეგვწევს ძალა სერიოზული მიზნებისთვის ვიბრძოლოთ — უხასიათობას არც „საუთჰემპტონის“ კარში მეშვიდე გოლის გამტანი დევიდ ტომპსონი უჩიოდა. მისმა „ლივერპულმა“ ისედაც შავ დღეში მყოფი „საუთჰემპტონი“ კიდევ უფრო გააუბედურა. გაიბრწყინა რობი ფაულერმა. მან „წმინდანებს“ სამი გოლი გაუტანა. გაიტანა ბომბარდირობისთვის მედგრად მებრძოლმა ყმაწვილმა ოუენმაც, ოღონდ ერთი.

სულ ერთი ბურთი გავიდა ნოტინგემში, სადაც ბოლოადგილოსანმა „ფორესტმა“ სახელგანთქმულ რონ ატკინსონს დებიუტი ჩაუშხამა და ჩემპიონ „არსენალთან“ 0:1 წააგო. ეს კინკილა გოლი მასპინძლებს მცველმა მარტინ კიოუნმა გაუტანა 34-ე წუთზე. ახალი შეგირდების უსუსური თამაშის შემყურე ატკინსონმა კი განაცხადა, ზღვა სამუშაო მაქვს ჩასატარებელი, განსაკუთრებით დაცვაშიო. სხვათა შორის, „ნოტინგემს“ აგერ უკვე 19 მატჩია, გამარჯვება არ უნახავს, რაც ინგლისის რეკორდი გახლავთ.

რაც შეეხება მილანის „ინტერიდან“ „არსენალში“ ახლახან გადაბარგებულ, კარდიოლოგიურად სუსტ ნიგერიელ ყმაწვილკაც ნვანკვო კანუს, იგი მინდორზე არ გამოჩენილა.

ძლივს მოიგო პრემიერლიგის ლიდერმა „ჩელსიმ“ შინ ცხრილის ფსკერის მუდმივ ბინადარ „ქოვენთრისთან“ შეხვედრაში. თავიდან დარენ ჰაკერბიმ რომ გაიტანა, აგებდა კიდეც, მაგრამ ჯერ მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანკ ლებეფმა გაქვითა პირველი ნახევრის ბოლო წუთზე, შემდეგ კი იტალიელმა რობერტო დი მატეომ. მანაც ბოლო წუთზე, ოღონდ მატჩის. ისე, ლონდონელებისთვის „ქოვენთრი“ უხერხული მეტოქეა — მიმდინარე სეზონში მათ ერთადერთხელ წააგეს და ისიც ქოვენთრელებთან, სეზონის გახსნით მატჩში.

— გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ. ეს ჩვენი ხასიათის სიმტკიცეზე მეტყველებს. შედეგმა გამახარა, რასაც ნაღდად ვერ ვიტყვი თამაშის ხარისხზე — თქვა „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ.

მისი კოლეგა, წარსულში ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, ამჟამად „ქოვენთრის“ დამრიგებელი ჩია გორდონ სტრაჩანი კი მსაჯმა „ცელქობისთვის“ მოედნიდან გააგდო.

**დავით ქოჩზირიძე**

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 | ასტონ ვილა | 22 | 12 | 7 | 3 | 34:20 | +14 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 22:12 | +10 | 26 | 11 | 4 | 5 | 2 | 12:8 | +4 | 17 |
| 2 | ჩელსი | 22 | 11 | 10 | 1 | 34:18 | +16 | 43 | 11 | 7 | 4 | 0 | 17:6 | +11 | 25 | 11 | 4 | 6 | 1 | 17:12 | +5 | 18 |
| 3 | მანჩესტერი | 22 | 11 | 8 | 3 | 49:26 | +23 | 41 | 12 | 8 | 3 | 1 | 31:13 | +18 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 18:13 | +5 | 14 |
| 4 | არსენალი | 22 | 10 | 9 | 3 | 23:11 | +12 | 39 | 11 | 6 | 5 | 0 | 15:4 | +11 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 8:7 | +1 | 16 |
| 5 | ლიდსი | 22 | 9 | 9 | 4 | 36:20 | +16 | 36 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:5 | +15 | 24 | 11 | 2 | 6 | 3 | 16:15 | +1 | 12 |
| 6 | ლივერპული | 22 | 10 | 5 | 7 | 43:26 | +17 | 35 | 11 | 6 | 3 | 2 | 28:13 | +15 | 21 | 11 | 4 | 2 | 5 | 15:13 | +2 | 14 |
| 7 | უიმბლდონი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:33 | -4 | 34 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:11 | +7 | 24 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:22 | -11 | 10 |
| 8 | ვესტ ჰემი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:31 | -6 | 32 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:14 | +4 | 21 | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 11 |
| 9 | მიდლსბრო | 22 | 7 | 10 | 5 | 32:28 | +4 | 31 | 11 | 4 | 6 | 1 | 16:10 | +6 | 18 | 11 | 3 | 4 | 4 | 16:18 | -2 | 13 |
| 10 | დერბი | 22 | 7 | 10 | 5 | 22:20 | +2 | 31 | 11 | 4 | 5 | 2 | 11:9 | +2 | 17 | 11 | 3 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 14 |
| 11 | ტოტენჰემი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:30 | -2 | 29 | 11 | 5 | 4 | 2 | 19:16 | +3 | 19 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 10 |
| 12 | ლესტერი | 22 | 7 | 8 | 7 | 25:27 | -2 | 29 | 11 | 5 | 3 | 3 | 17:16 | +1 | 18 | 11 | 2 | 5 | 4 | 8:11 | -3 | 11 |
| 13 | შეფილდი | 22 | 7 | 5 | 10 | 25:22 | +3 | 26 | 11 | 5 | 3 | 3 | 13:6 | +7 | 18 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:16 | -4 | 8 |
| 14 | ნიუკასლი | 22 | 6 | 7 | 9 | 26:31 | -5 | 25 | 11 | 5 | 2 | 4 | 14:14 | 0 | 17 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:17 | -5 | 8 |
| 15 | ევერტონი | 22 | 5 | 9 | 8 | 13:24 | -11 | 24 | 11 | 2 | 7 | 2 | 3:5 | -2 | 13 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 11 |
| 16 | ბლექბერნი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:29 | -8 | 21 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:11 | +2 | 17 | 11 | 0 | 4 | 7 | 8:18 | -10 | 4 |
| 17 | ქოვენთრი | 22 | 5 | 5 | 12 | 21:31 | -10 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | +3 | 16 | 11 | 1 | 1 | 9 | 6:19 | -13 | 4 |
| 18 | ჩარლტონი | 22 | 3 | 8 | 11 | 26:36 | -10 | 17 | 10 | 2 | 4 | 4 | 15:12 | +3 | 10 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 19 | საუთჰემპტონი | 22 | 4 | 5 | 13 | 20:46 | -26 | 17 | 11 | 3 | 2 | 6 | 15:21 | -6 | 11 | 11 | 1 | 3 | 7 | 5:25 | -20 | 6 |
| 20 | ნოტინგემი | 22 | 2 | 7 | 13 | 18:41 | -23 | 13 | 11 | 1 | 6 | 4 | 9:13 | -4 | 9 | 11 | 1 | 1 | 9 | 9:28 | -19 | 4 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 13 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 12 |
| იორკი (მანჩესტერი) | 11 |

### XXIII ტური

30 იანვარი

| | |
|---|---|
| არსენალი | ჩელსი |
| ბლექბერნი | ტოტენჰემი |
| ქოვენთრი | ლივერპული |
| ევერტონი | ნოტინგემი |
| მანჩესტერი | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | ლესტერი |
| ნიუკასლი | ასტონ ვილა |
| შეფილდი | დერბი |
| საუთჰემპტონი | ლიდსი |
| უიმბლდონი | ვესტ ჰემი |

## პირველი დივიზიონი

**სანდერლენდი 2:1 იფსვიჩი**
1:0, 2:0 ქუინი (26, 32), 2:1 ჰოლანდი (38)

**ბარნსლი 0:0 ბირმინგემი**

**ბრედფორდი 4:1 ქრიუ**
1:0, 2:0, 3:0 მილსი (25, 41, 55), 4:0 ბლეიქი (66), 4:1 ლიტლი (73)

**ბრისტოლი 1:1 ტრანმერი**
0:1 მაჰონი (8), 1:1 ლოკი (25)

**ბერი 1:1 ქუინზ პარკი**
1:0 ჯეიმსი (24), 1:1 დოუი (65)

**კრისტალ პალასი 2:2 სტოკპორტი**
0:1, 0:2 ეინჯელი (4, 23), 1:2 მორისონი (44), 2:2 ზიუი (47)

**გრიმსბი 1:0 ოქსფორდი**
1:0 გროუვსი (32)

**ნორვიჩი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ბორტოლაცი (50), 1:1 ლ. მარშალი (78)

**პორტ ვეილი 0:1 სვინდონი**
0:1 ნდა (9)

**პორტსმუთი 1:0 ჰადერსფილდი**
1:0 კლარიჯი (4)

**შეფილდი 1:2 ბოლტონი**
1:0 კემპბელი (33), 1:1, 1:2 ჰოლდსვორსი (45, 72)

**ვულვზი 0:0 უოტფორდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 28 | 17 | 9 | 2 | 59:19 | 60 |
| ბრედფორდი | 27 | 15 | 5 | 7 | 50:29 | 50 |
| ბოლტონი | 27 | 13 | 10 | 4 | 51:33 | 49 |
| ბირმინგემი | 28 | 14 | 7 | 7 | 43:26 | 49 |
| იფსვიჩი | 28 | 14 | 6 | 8 | 36:18 | 48 |
| გრიმსბი | 28 | 14 | 5 | 9 | 32:29 | 47 |
| უოტფორდი | 28 | 12 | 10 | 6 | 44:36 | 46 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 12 | 6 | 10 | 50:44 | 42 |
| ნორვიჩი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:37 | 42 |
| ჰადერსფილდი | 28 | 12 | 6 | 10 | 40:45 | 42 |
| ვულვზი | 28 | 11 | 8 | 9 | 37:28 | 41 |
| შეფილდ იუნ. | 28 | 10 | 8 | 10 | 42:46 | 38 |
| ბარნსლი | 28 | 9 | 10 | 9 | 37:35 | 37 |
| კრ. პალასი | 27 | 9 | 8 | 10 | 39:46 | 35 |
| სვინდონი | 28 | 9 | 7 | 12 | 39:45 | 34 |
| ტრანმერი | 28 | 6 | 13 | 9 | 34:40 | 31 |
| ქუინზ პარკი | 28 | 8 | 7 | 13 | 31:38 | 31 |
| სტოკპორტი | 28 | 6 | 12 | 10 | 33:37 | 30 |
| ბერი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:38 | 30 |
| პორტსმუთი | 28 | 7 | 8 | 13 | 35:44 | 29 |
| ბრისტოლი | 28 | 5 | 10 | 13 | 3855 | 25 |
| ოქსფორდი | 28 | 6 | 7 | 15 | 29:51 | 25 |
| პორტ ვეილი | 28 | 7 | 4 | 17 | 29:52 | 25 |
| ქრიუ | 28 | 5 | 6 | 17 | 31:58 | 21 |

## იტალია

XVII ტური

### ფიორენტინა 4:2 კალიარი

1:0 ბატისტუტა (7), 1:1 ონილი (32), 1:2 დე პატრე (58), 2:2 ედმუნდო (76), 3:2, 4:2 ბატისტუტა (79, 89)

ფიორენტინა: ტოლდო, ფირიკანო, ტორიჩელი, რეპკა, ტორიჩელი, ჰაინრიხი, ოლივეირა (რობიატი 46), კოისი, რუი კოშტა, ამორუზო (ესპოზიტო 60), ედმუნდო, ბატისტუტა

კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონჩელი, გრასადონია, ვაზარი (კაველი 77), ბერეტა (მაცეო 87), ძანეტი, დე პატრე, მაჩელარი, ონილი, მუცი

გაფრთხილება: ფირიკანო

გაძევება: ძანეტი (56)

მსაჯი: როდომონტი

### პარმა 1:3 ლაციო

0:1 სალასი (53), 1:1 კრესპო (54), 1:2 მანჩინი (69), 1:3 ვიერი (92)

პარმა: ბუფონი, სარტორი (ორლანდინი 81), ტურამი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ვერონი, ბენარივო, კრესპო, კიეზა (ბალბო 67)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, მანჩინი (კოუტუ 89), ალმეიდა, კონსეისაო (გოტარდი 87), ვიერი, სალასი

გაფრთხილება: კანავარო, ვერონი, დ. ბაჯო, ნესტა

მსაჯი: ბაცოლი

### რომა 3:0 ვიჩენცა

1:0 დი ფრანჩესკო (6), 2:0 დელვეკიო (44), 3:0 გაუტიერი (77)

რომა: კონსელი, კუადრინი, პეტრუცი, ძაგო, დალ მორო, ტომაზი (ტომიჩი 85), დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, გაუტიერი, დელვეკიო (ბარტლეტი 88), პაულუ სერჟიო (ფრაუ 85)

ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო (კონტე 61), ბელოტი, დიკარა, ბეგეტო, სკენარდი (მაცანოტი 90), მენდესი, ვივიანი (დაბო 50), ძაული, ლუიზო, ოტერო

გაფრთხილება: დი ბიაჯო, მენდესი, დაბო, ძაული

მსაჯი: ფარინა

### ბარი 3:1 სამპდორია

1:0 მასინგა (34), 2:0 დე როზა (47), 2:1 ლაილი (65), 3:1 ოლივარესი (70)

ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია, ნექროიზი, ინოჩენტი, ზამბროტა, ანდერსონი, მარკოლინი, დე ასკენტისი (ოლივარესი 68), მასინგა, ოსმანოვსკი (მადსენი 64)

სამპდორია: ფერონი (ამბროზიო 46), კასტელინი, გრანდონი, ლასისი, ბალერი, ფრანჩესკეტი (საკიჩი 80), პეკია, ლაილი, ლი შარპი (ორტეგა 56), მონტელა, პალმიერი

გაფრთხილება: გარსია

მსაჯი: ბოლონინო

### ბოლონია 2:0 ინტერი

1:0 სინიორი (41პ), 2:0 ფონტოლანი (52)

ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, რინალდი, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (კაპიოლი 81), ინგესონი, მაროკი, ფონტოლანი (მაინი 89), ანდერსონი (სიმუტენკოვი 93), სინიორი

ინტერი: პალიუკა, სიმიჩი, ბერგომი, გალანტე (კოე 64), მილანეზე, ძანეტი, ვინტერი, სიმეონე (ჯორკაეფი 69), სამორანო, რონალდო, ბაჯო (პირლო 88)

გაფრთხილება: რონალდო, პარამატი, მაროკი, ანდერსონი, პალიუკა, მანგონე, გალანტე

მსაჯი: ბოჯი

### ვენეცია 1:1 იუვენტუსი

1:0 პედონე (5), 1:1 ფონსეკა (53)

ვენეცია: ტაიბი, პავანი, ბილიკა, ლუპი, დალ კანტო, ვალტოლინა, იაკინი, მიკელი, პედონე, რეკობა (მარანგონი 55), მანიერო (აპინფული 66)

იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, ფერარა, მონტერო, დი ლივიო, კონტე, დეშამი (პესოტო 46), დავიდსი, ზიდანი (ესნაიდერი 46), ამორუზო (რიჯონი 79), ფონსეკა

გაფრთხილება: იაკინი, მიკელი, დავიდსი, კონტე, დი ლივიო

მსაჯი: დე სანტისი

### მილანი 2:1 პერუჯა

1:0 ხულიელმინპიეტრო (36), 2:0 ბირჰოფი (39), 2:1 ნაკატა (90პ)

მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ბა (ბობანი 62), ალბერტინი, ამბროზინი, ხულიელმინპიეტრო, ლეონარდო (დონადონი 75), ბირჰოფი, ვეა (აბიატი 91)

პერუჯა: მაცანტინი, მატრეკანო, მაცანო, რიპა (პეტრაკი 51), სოლანო, ტოდესკო, მასპერო (ბუკი 71), კოლონელო (გროსი 80), ნაკატა, რაპაიჩი, კავიედესი

გაფრთხილება: მალდინი, ალბერტინი, ბა, ტედესკო, როსი

გაძევება: როსი (90)

მსაჯი: ბეტინი

### უდინეზე 0:0 ემპოლი

უდინეზე: ტურჩი, გარგო, კალორი, პიერინი, ჟენო, ძანკი, ვალემი, იორგენსენი, ლოკატელი (ბაკინი 71), პოჯი (სოსა 53), ამოროზო

ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, კრიბარი (ლუჩენტი 84), პანე, მორონე, მარტუშელო (ბიზოლი 48), ტონეტო, დი ნაპოლი, კარპარელი (კიაპარა 88)

გაფრთხილება: კალორი, კრიბარი

მსაჯი: ტომბოლინი

### სალერნიტანა 1:1 პიაჩენცა

1:0 ფრეზი (17), 1:1 დიონიჯი (58)

სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფუსკო, ფრეზი, დელ გროსო, გატუზო, ბრედა, ბერნარდინი (დი მიკელე 67), მ. როსი (ამეტრანო 76), დი ვაიო, ჯიამპაოლო (ვანუჩი 63)

პიაჩენცა: ფიორი, ლამაჩი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი (დიონიჯი 52), პიოვანი, კრისტალინი (ბუზო 82), სტროპა, მაცოლა, ს. ინძაგი (დელი კარი 63), რასტელი

გაფრთხილება: ლამაჩი, მ. როსი, ვერხოვოდი, ჯიამპაოლო, ბუზო, დი ვაიო, ვანუჩი

მსაჯი: ჩეზარი

# გაზარდეთ ბატისტუტას ძეგლი



REUTERS ფოტოქრონიკიდან

გაბრიელ ბატისტუტამ რამდენიც ითამაშა, იმდენი გაიტანა

„ტარდინიზე“ მოხდა ის, რაც გასული წლის მაისის მერე არ მომხდარა — „პარმამ“ შინ წააგო. „იუვენტუსი“, „ინტერი“, „მილანი“ და „ფიორენტინა“ ამ სეზონში დამარცხებულები ტოვებდნენ პარმის სტადიონს. დიდ გუნდთაგან ერთადერთი, ვინც მილანის ახლოს მდებარე ამ პატარა ქალაქიდან ქულა წაიღო, დედაქალაქის „რომა“ გახლდათ, ხოლო ერთადერთი, ვისთანაც „პარმას“ ჯერ არ ეთამაშა, დედაქალაქისავე „ლაციო“ იყო. „პარმასა“ და „ლაციოს“ შეხვედრამ იტალიის პირველობის პირველი წრის ბოლო ტურს უწია და იგი რომაელების გამარჯვებით, 3:1 დამთავრდა.

„ლაციოსთვის“ პარმაში გამარჯვება გარდა იმისა, რომ მესამე ადგილზე აღზევებას ნიშნავდა, მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ის ზედიზედ მეექვსე გახლდათ, რაც მეტყველი ფაქტია. ამას თუ დავამატებთ ისიც, რომ წინა ტურში გუნდმა „ფიორენტინას“ მოუგო, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რომაელებს შესწევთ 1973-74 წლების სეზონში მიღწეული შედეგის გამეორება — „სკუდეტოს“ ანუ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. თან, დახეთ რა გამოდის, წინა ტურში „ლაციომ“ „ფიორენტინას“ დააკარგინა ლიდერობა, ახლა კი იმას მოუგო, ვინც იმ შეხვედრის შედეგით ისარგებლა და ლიდერის პოზიცია ისევ ფლორენციელებს დაუბრუნა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სერია A-ს თუ სერია B-ს შეხვედრებში „ლაციოს“ „ტარდინიზე“ მთელი 40 წელიწადია არ მოუგია.

სტატისტიკამ ძალიან რომ არ გაგვიტაცოს, ისიც ვთქვათ, რომ მესამე ადგილზე აღზევებული „ლაციო“ სწორედ „პარმას“ გაუტოლდა და ახლა ორივენი სამი ქულით ჩამორჩებიან ცხრილის პირველ გუნდს, „ფიორენტინას“.

საკუთრივ თამაშზე იმის თქმა შეიძლება, რომ პირველ ტაიმში ბურთს უპირატესად „პარმა“ ფლობდა, თუმცა მისმა ფორვარდებმა ერნან კრესპომ და ენრიკო კიეზამ რომაელ მეურვეებს სინიშა მიხაილოვიჩსა და ალესანდრო ნესტას ვერ აჯობეს.

თავიდან კი ჰქონდათ მასპინძლებს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა: მე-9 წუთზე დიეგო ფუზერი დაუსხლტა მიხაილოვიჩს და სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ სტუმრების მეკარე ლუკა მარკეჯანი კრესპოს ფეხებში ჩაუწვა და კარი იხსნა. მე-16 წუთზე უკვე „ლაციოს“ შეეძლო გოლის გატანა — იტალიის ნაკრებისა და „პარმას“ კარის მცველი ჯანლუიჯი ბუფონი დაახლოებით 10 მეტრით წინ გავიდა და კრისტიან ვიერიმ კინაღამ ზურგს უკან, ბადეში ჩაუგდო ბურთი.

შესვენების შემდეგ გოლების დროც დადგა. თამაშის განახლებიდან რვა წუთის შემდეგ „პარმას“ მცველმა ლუიჯი სარტორმა „ლაციოს“ მცველი ჯუზეპე პანკარო თავის საჯარიმოში წააქცია, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. მარსელო სალასმა თერთმეტი მეტრიდან აჯობა ბუფონს, რომელსაც წინა ორი პენალტი მოგერიებული ჰქონდა.

ამ გოლიდან ორ წუთში მასპინძლებმა გაქვითეს. უწინ „ლაციოში“ მოთამაშე ფუზერმა ახლო ძელთან ჩააწოდა ბურთი, იქ კიეზამ მას თავი დაჰკრა, ხოლო კრესპომ კომბინაცია წარმატებით დააგვირგვინა.

ერთი ხნის შემდეგ კონსეისაოს მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული 33 წლის რობერტო მანჩინიმ ქუსლით, ძალიან ეფექტური და ზუსტი დარტყმით დაასრულა, თამაშის ბოლოს კი ვიერიმ, რომელსაც ბუფონმა ერთი წუთის წინ ბურთი ფეხიდან გადაუგდო, მეკარეს ეს მცირე წარმატება არ შეარჩინა. საგულისხმოა, რომ მანჩინისთვის პარმაში გატანილი გოლი სერია A-ს თამაშებში 153-ე გახლდათ, ვიერისთვის კი 1999 წელს ჩატარებულ სამ შეხვედრაში მესამე.

„ფიორენტინამ“ „კალიარის“ 4:2 სძლია და ოთხიდან სამი გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანა, ხოლო ერთი ედმუნდომ.

ბატისტუტა... ეს არგენტინელი ფლორენციული ფეხბურთის ისტორიაში უკვე დიდ კაცადაა შესული, ძეგლიც კი უდგას. მოდით, კომენტარის გარეშე ვთქვათ: მან ამ სეზონის 17 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა. უწინდელი რეკორდი 17 მატჩში 15 გოლი ჰქონდა...

ბოლო ათწლეულის იტალიური რეკორდი კი ჯუზეპე სინიორის ეკუთვნის: 16 შეხვედრაში 17 გოლი.

სინიორიმ და რობერტო ბაჯომ „ბოლონიისა“ და „ინტერის“ თამაშის წინ გადაკოცნეს ერთმანეთი, ხელიხელგადახვეულებმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და მერე ერთმანეთის კარს შეუტიეს. თავის შარშანდელ გუნდს, „ბოლონიას“ ბაჯო მეტოქის როლში მოევლინა, მაგრამ სინიორით გაძლიერებული ძველი მეგობრები მაგრად დაუხვდნენ. შეხვედრის ბოლო ასეთი გახლდათ: გაწბილებული ბაჯო შეცვალეს, გამარჯვებული სინიორი კი ამაყად დაქროდა მოედანზე — მან ანგარიში გახსნა, მისმა თანაგუნდელმა დავიდე ფონტოლანმა კი მეორე შეაგდო. ვერც რონალდომ ივარგა.

და „იუვენტუსი“... „იუვენტუსმა“ ახალი შენაძენი, არგენტინელი ხუან ესნაიდერი ათამაშა. სწორედ მისი მონდომების შედეგი გახლდათ დანიელ ფონსეკას გოლი, მაგრამ ამ გოლმა ანგარიში მხოლოდ გაათანაბრა. „ვენეციამ“ ორჯერ ძელსაც გაარტყა ბურთი.

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 17 | 11 | 2 | 4 | 31:18 | +13 | 35 | 9 | 9 | 0 | 0 | 21:4 | +17 | 27 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 8 |
| 2 | პარმა | 17 | 9 | 5 | 3 | 31:15 | +16 | 32 | 9 | 6 | 2 | 1 | 16:2 | +14 | 20 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 |
| 3 | ლაციო | 17 | 9 | 5 | 3 | 33:19 | +14 | 32 | 8 | 5 | 3 | 0 | 20:8 | +12 | 18 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:11 | +2 | 14 |
| 4 | მილანი | 17 | 8 | 6 | 3 | 25:19 | +6 | 30 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:9 | +8 | 20 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:10 | -2 | 10 |
| 5 | რომა | 17 | 7 | 6 | 4 | 36:24 | +12 | 27 | 9 | 7 | 2 | 0 | 24:6 | +18 | 23 | 8 | 0 | 4 | 4 | 12:18 | -6 | 4 |
| 6 | ინტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 32:25 | +7 | 27 | 8 | 6 | 0 | 2 | 23:12 | +11 | 18 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 9 |
| 7 | ბოლონია | 17 | 6 | 7 | 4 | 20:13 | +7 | 25 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:8 | +4 | 13 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | +3 | 12 |
| 8 | ბარი | 17 | 5 | 10 | 2 | 22:18 | +4 | 25 | 9 | 4 | 5 | 0 | 10:5 | +5 | 17 | 8 | 1 | 5 | 2 | 12:13 | -1 | 8 |
| 9 | იუვენტუსი | 17 | 6 | 6 | 5 | 18:17 | +1 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 9:2 | +7 | 17 | 9 | 1 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 7 |
| 10 | უდინეზე | 17 | 6 | 5 | 6 | 21:26 | -5 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | +4 | 16 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:18 | -9 | 7 |
| 11 | კალიარი | 17 | 6 | 2 | 9 | 28:28 | 0 | 20 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | +7 | 17 | 8 | 1 | 0 | 7 | 9:16 | -7 | 3 |
| 12 | პერუჯა | 17 | 5 | 4 | 8 | 23:31 | -8 | 19 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:14 | +4 | 17 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:17 | -12 | 2 |
| 13 | პიაჩენცა | 17 | 4 | 6 | 7 | 24:27 | -3 | 18 | 8 | 4 | 3 | 1 | 18:13 | +5 | 15 | 9 | 0 | 3 | 6 | 6:15 | -9 | 3 |
| 14 | ვიჩენცა | 17 | 3 | 6 | 8 | 10:22 | -12 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 12 | 9 | 0 | 3 | 6 | 3:13 | -10 | 3 |
| 15 | სამპდორია | 17 | 3 | 6 | 8 | 16:32 | -16 | 15 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:7 | +3 | 13 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:25 | -19 | 2 |
| 16 | ემპოლი* | 16 | 3 | 7 | 6 | 13:21 | -8 | 14 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | +1 | 12 | 8 | 0 | 4 | 4 | 3:12 | -9 | 4 |
| 17 | სალერნიტანა | 17 | 3 | 4 | 10 | 13:28 | -15 | 13 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | +1 | 12 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:19 | -16 | 1 |
| 18 | ვენეცია | 16 | 2 | 6 | 8 | 8:21 | -13 | 12 | 7 | 1 | 4 | 2 | 3:5 | -2 | 7 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | -11 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 17 |
| კრესპო (პარმა) | 11 |
| მუცი (კალიარი) | 11 |
| დელვეკიო (რომა) | 11 |

XVIII ტური

24 იანვარი

ვენეცია - ბარი
ინტერი - კალიარი
ემპოლი - ფიორენტინა
ბოლონია - მილანი
ვიჩენცა - პარმა
იუვენტუსი - პერუჯა
ლაციო - პიაჩენცა
სალერნიტანა - რომა
სამპდორია - უდინეზე

## სერია B

XVIII ტური

### ტორინო 2:0 ფ. ანდრია

1:0 ლენტინი (11), 2:0 ფერანტე (29)

ტერნანა 0:0 რეჯინა

### რეჯანა 1:2 ბრეშა

0:1 პარიზი (34 ს.კ.), 0:2 უბნერი (40), 1:2 პროტი (77)

### რავენა 2:0 კრემონეზე

1:0 პრენოლატო (79), 2:0 დელანო (85პ)

### პესკარა 0:0 ლეჩე

### ნაპოლი 0:0 ვერონა

### ჯენოა 4:1 ჩეზენა

1:0 ბონეტი (20), 2:0, 3:0 ნაპი (63, 65), 3:1 კომანდინი (82), 4:1 ფრანკიოზო (90)

### კოზენცა 0:0 ლუკეზე

### კიევო 3:2 მონცა

0:1 ტოპიჩი (3), 0:2 ოდო (36), 1:2 ფრანჩესკინი (45), 2:2 დანა (72), 3:2 დე ჩეზარე (75)

### ატალანტა 2:2 ტრევიზო

1:0 კაჩა (14), 1:1 ადამი (21), 2:1 კაჩა (45), 2:2 როსი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 18 | 11 | 4 | 3 | 29:13 | 37 |
| ტრევიზო | 18 | 10 | 7 | 1 | 30:15 | 37 |
| ტორინო | 18 | 10 | 4 | 4 | 27:13 | 34 |
| პესკარა | 18 | 9 | 4 | 5 | 27:18 | 31 |
| ატალანტა | 18 | 8 | 6 | 4 | 19:13 | 30 |
| რავენა | 18 | 8 | 6 | 4 | 24:20 | 30 |
| ბრეშა | 18 | 7 | 8 | 3 | 20:14 | 29 |
| ლეჩე | 18 | 8 | 5 | 5 | 19:14 | 29 |
| რეჯინა | 18 | 7 | 7 | 4 | 21:15 | 28 |
| ნაპოლი | 18 | 6 | 8 | 4 | 17:16 | 26 |
| მონცა | 18 | 6 | 6 | 6 | 14:16 | 24 |
| ჯენოა | 18 | 5 | 6 | 7 | 21:22 | 21 |
| კოზენცა | 18 | 5 | 5 | 8 | 19:26 | 20 |
| კიევო | 18 | 5 | 5 | 8 | 13:20 | 20 |
| ტერნანა | 18 | 3 | 9 | 6 | 16:23 | 18 |
| ლუკეზე | 18 | 3 | 8 | 7 | 14:16 | 17 |
| რეჯანა | 18 | 3 | 7 | 8 | 18:23 | 16 |
| კრემონეზე | 18 | 3 | 5 | 10 | 14:31 | 14 |
| ჩეზენა | 18 | 1 | 7 | 10 | 11:25 | 10 |
| ფ. ანდრია | 18 | 1 | 5 | 12 | 8:28 | 8 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

XVIII ტური

### სელტა 4:2 მალიორკა

0:1 ჩუპა ლოპესი (22), 1:1 კარპინი (26), 1:2 ბიაჯინი (51პ), 2:2 კარპინი (55), 3:2 ჯოროვიჩი (86), 4:2 რევივო (90)

სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, ბერხესი, კასერესი, ჯოროვიჩი, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (ტომასი 88), მაკელელე, პენევი, სანჩესი (რევივო 60).

მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (პაუნოვიჩი 78), სტანკოვიჩი, ლორენი, ფ. სოლერი, ბიაჯინი, ჩუპა ლოპესი (კარლოსი 68)

გაფრთხილება: ბერხესი, მაზინიო, მოსტოვოი, ლორენი

მსაჯი: გარსია არანდა

### ბეტისი 0:3 ბარსელონა

0:1 ფიგუ (2), 0:2 ლუის ენრიკე (34), 0:3 გვარდიოლა (80)

ბეტისი: პრატსი, აიალა, ლუის ფერნანდესი (ფერნანდო 70), მერინო (ოლი 46), ოტერო (კანიასი 63), ოლიასი, ბენჯამინი, იტო, დენილსონი, ფინიდი, ალფონსო

ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო, სერხი (ზენდენი 75), რაიციგერი (ოკუნოვო 46), სავი (პელეგრინო 57), კოკუ, გვარდიოლა, ფიგუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი, რივალდო

გაფრთხილება: ოლიასი, რაიციგერი, სავი

მსაჯი: ესკინას ტორესი

### ალავესი 1:2 ბილბაო

0:1 ალკორტა (27), 0:2 ესკუერო (54), 1:2 კანაბალი (79)

ალავესი: კიკე, ბელსუე (ბერტი 78), ივან როჩა (სივორი 46), კარმონა, ალბისტეგი, ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი, დესიო, ხულიო სალინასი

ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე, ლარასაბალი, ლაკრუსი, ფერეირა, იმასი, ალკისა (ხორხე პერესი 70), ხავი გონსალესი (კარლოს გარსია 53), ესკუერო, ურსაისი (ი. გერერო 80)

გაფრთხილება: ივან როჩა, პაბლო გომესი, ალკორტა, ლაკრუსი

მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ესპანიოლი 0:0 სოსიედადი

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინო, სერხიო, ივან ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, ტამუდო, მარტინ პოსე (დე ლუკასი 66), ნან რიბერა (გალკა 77)

სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, პიკაბეა, ანტია, გომესი, დე პედრო (ფ. გერერო 86), გრასია, კოვაჩევიჩი, სა პინტუ, ალდეონდო (იარეგი 68)

გაფრთხილება: კაპდევილა, პიკაბეა, გრასია, კოვაჩევიჩი, სა პინტუ

გაძევება: სა პინტუ

მსაჯი: პრადოს გარსია

### რეალი 4:2 ატლეტიკო

1:0 მიატოვიჩი (22), 1:1 ჟუნინიო (46), 2:1 მორიენტესი (76), 3:1 ივან კამპო (80), 3:2 კორეა (84), 4:2 მორიენტესი (89)

რეალი: ილგნერი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, იერო (სანსი 46), პანუჩი, იარნი, ზეედორფი, გუტი, რაული, მიატოვიჩი (მორიენტესი 73), შუკერი (ხაიმე 90)

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა, სერენა, ნიეგუსი (იუგოვიჩი 46, კორეა 77), ჟუნინიო, ვალერონი, რობერტო, მენა, ხოსე მარი

გაფრთხილება: ილგნერი, რობერტო კარლოსი, შუკერი, აგილერა, სერენა, ვალერონი, რობერტო, მენია

მსაჯი: კარმონა მენდესი

### ვალენსია 1:1 ტენერიფე

1:0 კ. ლოპესი (37პ), 1:1 ხუანელე (68პ)

ვალენსია: კანისარესი, კამარასა, ჯუკიჩი, როში (პოპესკუ 81), ანგლომა, ხუანფრანი, ფარინოსი (სერბანი 72), შვარცი (მენდიეტა 57), მილა, კ. ლოპესი, ანგულო

ტენერიფე: მონო მონტოია, ლორენტი, ალექსისი, პაბლო პასი, ჩანო, ემერსონი, დანი, სლოვაკი, ხუანელე (დომინგუში 88), პინილია (ხონეი 85), მაკაი (კოდრო 71)

გაფრთხილება: კანისარესი, როში, შვარცი, მილა, ჩანო, კოდრო

მსაჯი: დუდენ იბანესი

### სარაგოსა 2:0 ვალიადოლიდი

1:0 აგუადო (57), 2:0 მილოშევიჩი (87)

სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო, პაბლო, სოლანა, აგუადო, არაგონი, ხოსე იგნასიო, კილი გონსალესი (გარიტანო 87), მილოშევიჩი, იორდი (ჯამელი 63), გ. ლოპესი (ვუტერი 78)

ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო (კამინერო 66), ტორეს გომესი, ეუსებიო, ჩემა (ემილიო 74), პეტერნაკი, კლიმოვიჩი

გაფრთხილება: ჯამელი, მარკოსი, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, ტორეს გომესი, ეუსებიო, კლიმოვიჩი

გაძევება: ხოსე იგნასიო

მსაჯი: დიას ვეგა

### ესტრემადურა 1:2 დეპორტივო

0:1 ტურუ ფლორესი (6), 0:2 ფრანი (75), 1:2 ესპოზიტო (77)

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, დავიდი, კალა, ბელენგერი, სოტო (პოლი 71), ფელიქსი, ვიოდო, ტონი ველამასანი (ესპოზიტო 67), პედრო ხოსე, დურე, მანუელი (გაბრიჩი 64)

დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, ნაიბეტი, პაჯი, მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, კონსეისაო, ტურუ ფლორესი (დონატო 65), პაულეტა (ბასირი 75)

გაფრთხილება: კალა, ტონი ველამასანი, სონგო, შურერი, პაჯი

მსაჯი: პერეს ლასა

### რასინგი 1:2 ვილიარეალი

0:1 კრისტიანსენი (39), 1:1 არსენო (49), 1:2 ალფარო (75)

რასინგი: სებალოსი, არსენო, მელბერგი (ამავისკა 46), მერინო, კაისი, ვიქტორი, შუსტიკოვი (ვივარ დორადო 75), ჩემა, ისმაელი (მაგალანეში 84), მუნიტისი, ბესტჩასტნიხი

ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი (პასკუალი 85), გერარდო, კრაიოვიანუ, კრისტიანსენი (ხავი სანჩისი 53), ალფარო (ალბერტო 90)

გაფრთხილება: ისმაელი, მუნიტისი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი

მსაჯი: ჯაპონ სევილია

### სალამანკა 1:1 ოვიედო

1:0 პავლიჩიჩი (85), 1:1 ნადი (86)

სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლორენი, ლანა, ედუ ალონსო, როხერიო, ჯოვანელა, კასარტელი (ბარბარა 83), ველისკა, სილვანი (მუნტიანუ 64)

ოვიედო: ესტებანი, კეიტა (დუბოვსკი 53), მანელი, სეზარი, ნადი, ესკურსა, პომპეი (ივან ანია 46), პაულო ბენტო, ონოპკო, მიოლერი, დელი ვალდესი

გაფრთხილება: პავლიჩიჩი, ლორენი, ლანა, ჯოვანელა, კასარტელი, კეიტა, ნადი, ესკურსა

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სელტა | 18 | 9 | 7 | 2 | 37:20 | +17 | 34 | 9 | 6 | 3 | 0 | 24:9 | +15 | 21 | 9 | 3 | 4 | 2 | 13:11 | +2 | 13 |
| 2 | მალიორკა | 18 | 9 | 5 | 4 | 20:12 | +8 | 32 | 9 | 7 | 2 | 0 | 14:3 | +11 | 23 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:9 | -3 | 9 |
| 3 | ბარსელონა | 18 | 8 | 4 | 5 | 37:21 | +16 | 31 | 9 | 5 | 2 | 2 | 24:12 | +12 | 17 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | +4 | 14 |
| 4 | რეალი | 18 | 9 | 4 | 5 | 39:26 | +13 | 31 | 9 | 5 | 2 | 2 | 23:13 | +10 | 17 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | +3 | 14 |
| 5 | ვალენსია | 18 | 9 | 3 | 6 | 29:20 | +9 | 30 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:6 | +12 | 22 | 9 | 2 | 2 | 5 | 11:14 | -3 | 8 |
| 6 | ატლეტიკო | 18 | 8 | 5 | 5 | 32:20 | +12 | 29 | 9 | 6 | 3 | 0 | 23:3 | +20 | 21 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:17 | -8 | 8 |
| 7 | ბილბაო | 18 | 9 | 2 | 7 | 27:27 | 0 | 29 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:12 | +4 | 16 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:15 | -4 | 13 |
| 8 | სარაგოსა | 18 | 8 | 4 | 6 | 24:21 | +3 | 28 | 9 | 5 | 0 | 4 | 15:14 | +1 | 15 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:7 | +2 | 13 |
| 9 | დეპორტივო | 18 | 7 | 6 | 5 | 24:22 | +2 | 27 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:9 | +7 | 18 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 9 |
| 10 | სოსიედადი | 18 | 7 | 5 | 6 | 25:22 | +3 | 26 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:5 | +12 | 20 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:17 | -9 | 6 |
| 11 | ოვიედო | 18 | 7 | 5 | 6 | 23:26 | -3 | 26 | 9 | 5 | 2 | 2 | 10:6 | +4 | 17 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:20 | -7 | 9 |
| 12 | ბეტისი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:21 | -4 | 25 | 8 | 4 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 14 | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 11 |
| 13 | ვილიარეალი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:26 | -1 | 23 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | +5 | 15 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 |
| 14 | ესპანიოლი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:20 | -1 | 22 | 9 | 3 | 5 | 1 | 9:7 | +2 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 8 |
| 15 | რასინგი | 18 | 5 | 6 | 7 | 21:24 | -3 | 21 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:10 | +3 | 12 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 9 |
| 16 | ვალიადოლიდი | 18 | 5 | 3 | 10 | 16:25 | -5 | 18 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:9 | +6 | 18 | 9 | 0 | 3 | 6 | 5:16 | -11 | 3 |
| 17 | ალავესი | 18 | 4 | 4 | 10 | 13:28 | -15 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 7:7 | 0 | 12 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:21 | -15 | 4 |
| 18 | სალამანკა | 18 | 4 | 4 | 10 | 16:32 | -16 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | +3 | 15 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:22 | -19 | 1 |
| 19 | ესტრემადურა | 18 | 4 | 3 | 11 | 11:31 | -20 | 15 | 9 | 3 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 10 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:20 | -14 | 5 |
| 20 | ტენერიფე | 18 | 2 | 8 | 8 | 18:29 | -11 | 14 | 9 | 0 | 6 | 3 | 9:13 | -4 | 6 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 8 |

# სანდო კაცმა თქვა



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ატლეტიკო 4:2. ასეთი დაძაბული მომენტები მატჩში ბევრი იყო

ᲐᲬᲕᲘᲛᲓᲐ ვიგოს, „სელტას" სტადიონსაც. ქალაქს, სადაც შაბათ საღამოს ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა უნდა გამართულიყო, ბუნება განურისხდა.

ხშირად მომხდარა, უამინდობის გამო ესა თუ ის მატჩი გაუფერულებულა. წვიმა, თოვლი და ასეთი ხელისშემშლელი პირობები ფეხბურთელთა წისქვილზე რომ არ ასხამს წყალს, ახალი ამბავი არაა, მაგრამ ვიგოში წვიმამ მატჩის სანახაობრივ მხარეს ვერაფერი დააკლო. თამაში თვალსასეირო გამოდგა, დაძაბული და უხვგოლიანი.

გულშემატკივარი ხარობს, თუ მისი საყვარელი გუნდი მეტოქეს ამარცხებს, მაგრამ გამარჯვებას მეტი ფასი აქვს თუ ის თანაბარძალოვან მოწინააღმდეგესთან, უშელავათო პაექრობაშია მოპოვებული, მაშინ, როცა მარცხი თითქოსდა გარდაუვალია. მასპინძელთა გულშემატკივრებმა სწორედ ამგვარი სიხარული განიცადეს — „სელტამ" ბოლომდე იბრძოლა, აჯობა კიდეც კონკურენტს და საწადელსაც მიაღწია.

ვიგოელები მატჩის მსვლელობისას ორჯერ იგებდნენ, თუმცა მათში მებრძოლი სული არ ჩამკვდარა და ორჯერვე გაყაიმება შეძლეს. საბოლოოდ კი სულაც იმარჯვეს.

პირველად პრიმერა დივიზიონის ლიდერი „სელტა" 22-ე წუთზე ჩამორჩა მეტოქეს — ვიგოელ მცველებს ჩუპა ლოპესი გაექცათ და მანაც თავური დარტყმით „მალიორკა" დააწინაურა. მეორედ მასპინძლებმა 51-ე წუთზე გაუშვეს წინ სტუმრები. ამჯერად „სელტას" მცველებს მეტოქის თავდამსხმელი იოვან სტანკოვიჩი ვერ გაექცათ, მაგრამ ბერიც არაფერი უკლდა — ესპანეთის ნაკრებში მიწვეულმა მიჩელ სალგადომ იგი წააქცია და... პენალტით დაჯარიმდა. ლეონარდო ბიაჯინიმ ვიგოელთა ფრანგი მეკარე რიშარ დუტრუელი — ერთ მხარეს გადაახტუნა, ბურთი კი საწინააღმდეგო მხარეს გაუშვა.

მიუხედავად ამ ორი უსიამოვნო წუთისა, „სელტამ" ორჯერვე შეძლო გაყაიმება. ამის გასაკეთებლად მასპინძლებს, კონრეტულად კი მათ რუს ლეგიონერ ვალერი კარპინს ორჯერვე ოთხი წუთი დასჭირდა. ყოფილი სპარტაკელის ორივე გოლი ლამაზი იყო. ორივე შორიდან დარტყმულს მოჰყვა და ორივე შემთხვევაში მეკარე უძლური იყო. საერთოდაც, მალიორკელებთან ვალერი კარპინმა კარგად ითამაშა.

საყაიმო ანგარიში ნახევარ საათს გაგრძელდა. შემდეგ კუნძულელთა არგენტინელმა მეკარე კარლოს როამ კიდევ ორჯერ გამოიტანა კარიდან ბურთი — ჯერ გორან ჯოროვიჩმა დააწინაურა „სელტა", მერე კი ისრაელის ნაკრების თავდამსხმელმა ხაიმ რევივომ ძლიერად და მიზანმიმართულად დაარტყა საჯარიმოს გარედან — 4:2.

— ასეთი შეხვედრები დღესდღეობით იშვიათობაა და მიხარია, რომ მე მასში ვმონაწილეობდი. ფეხბურთელისთვის ასეთ დაძაბულ მატჩებში თამაშზე უფრო დიდი სიამოვნება არ არსებობს — ვიგოელთა ბულგარელი ლეგიონერი, ესპანეთის ჩემპიონატებს შებერებული ლუბოსლავ პენევი, რომელსაც გოლი არ ჩაუთვალეს, თანაგუნდელს გადახვეოდა. ასეთივე აზრისა გახლდათ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, ბრაზილიელი მაზინიო. სხვათა შორის, მას მავანმა ვიგოელმა მოქალაქემ სასამართლოში უჩივლა და ავტოავარიის გამო კომპენსაცია მოსთხოვა. მაზინიო უდანაშაულოდ სცნეს ა ბრაზილიელსაც ფული დაეზოგა.

„სელტამ" მოიგო. სამი ქულაც მიითვალა და ხელახლა ჩაუდგა პრიმერა დივიზიონს სათავეში. ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი კვლავ შეიცვალა. ვინ მოთვლის, მერამდენედ!

სანამ პირინეის ნახევარკუნძულის საფეხბურთო ოლიმპზე უტიტულო „სელტა" იწონებს თავს, სანამ მას კუდში ასევე ნაკლებად ცნობილი „მალიორკა" მისდევს, ესპანეთის და ამასთანავე მსოფლიო ფეხბურთის გრანდებმა „ბარსელონამ" და „რეალმა" თავიანთი შეხვედრები მოიგეს და ლიდერებს საგრძნობლად მიუახლოვდნენ. ქვეყნის ჩემპიონატის დასრულებამდე საკმაო დროა და სწორედ ამის გამო შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ „სელტას" და იმავე „მალიორკას" ბობოლებთან ჭიდილი გაუჭირდებათ. არც სამეფო კლუბი და მით უმეტეს, ქვეყნის ჩემპიონი არიან ის კლუბები ჩემპიონობას იოლად რომ შეელიონ.

„ბარსელონამაც" და „რეალმაც" „სელტაზე" ერთი დღით გვიან, ანუ კვირას ითამაშეს. მადრიდში, ქალაქურ დერბიში „რეალი" „ატლეტიკოს" მასპინძლობდა, ლამის ჰოლანდიის ნაკრების საბაზო კლუბად ქცეული „ბარსელონა" კი სევილიაში იქაურ „ბეტისს" შეხვდა.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" მასპინძელთა თავკაცმა გუს ჰიდინკმა ძირითად შემადგენლობაში გულშემატკივართა ნანატრი თავდასხმის ტრიო რაული — მიატოვიჩი — შუკერი გაამწესა, მაგრამ ამ სამეულს „რეალისთვის" დიდი ხეირი არ მოუტანია. სამიდან ერთი მიატოვიჩი იყო, რომელიც მეტოქეს რეალურად აწუხებდა. მასპინძელთა ქომაგები მიატოვიჩის თანამემამულე პერიცა ოგნიენოვიჩის გამოჩენასაც ელოდნენ, თუმცა სამეფო კლუბის ახალწვეულს არ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის პერიცა ოგნიენოვიჩია, ზაფხულში, „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფოთის „კოლხეთს" თავბედი რომ აწყევლინა.

„რეალმა" მოიგო. იმარჯვა „ბარსელონამაც". კატალონიურმა კლუბმა, რომელმაც საგრძნობლად გამოასწორა თამაში, „ბეტისს" შანსი არ დაუტოვა.

— „ბარსა" ჩემპიონი გახდება. ამაში დარწმუნებული ვარ — კლუბის კაპიტანი გვარდიოლა სანდო კაცია.

**ლაშა გოდუაძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 11 |
| რაული (რეალი) | 10 |
| რივალდო (ბარსელონა) | 10 |

### XIX ტური

24 იანვარი

ბილბაო - ბეტისი
ბარსელონა - სარაგოსა
ვალიადოლიდი - რასინგი
ვილიარეალი - ესტრემადურა
დეპორტივო - რეალი
ატლეტიკო - სელტა
მალიორკა - ვალენსია
ტენერიფე - სალამანკა
ოვიედო - ესპანიოლი
სოსიედადი - ალავესი

## მეორე დივიზიონი

XX ტური

### ლეიდა 0:2 რეკრეატივო

0:1 პეპელუ (11პ), 0:2 ანხელ ლუისი (24)

### ლოგრონიესი 2:1 მერიდა

1:0 ხორდი (71), 2:0 მანელი (80), 2:1 ლუის სიერა (90)

### რაიო 1:0 ლეგანესი

1:0 მიჩელი (23)

### მალაგა 3:0 ტოლედო

1:0, 2:0 კატანიო (25, 27), 3:0 ედგარი (45)

### კომპოსტელა 1:0 სევილია

1:0 საულა (46პ)

### ნუმანსია 4:0 ორენსე

1:0 მორანი (2), 2:0 კასტანიო (32), 3:0 მორანი (88), 4:0 კასტანიო (90)

### ატლეტიკო B 1:1 ბადახოსი

0:1 კარლოს ტორესი (5), 1:1 დუკა (83)

### მალიორკა B 1:1 ოსასუნა

0:1 სიგანდა (38), 1:1 ლუკე (66)

### სპორტინგი 2:1 ბარსელონა B

1:0 კობასი (62), 2:0 ჩერიშევი (64), 2:1 ბაბანგიდა (72)

### ეიბარი 0:1 ალბასეტე

0:1 დი კარლო (71)

### ლას პალმასი 4:2 ერკულესი

1:0 პაკუი (3), 2:0 ელოი (26), 3:0 სამვეისი (37), 3:1 ოსტერსი (50), 3:2 პაკიტო (77პ), 4:2 სოკორო (87პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 20 | 12 | 4 | 4 | 37:15 | 40 |
| რაიო | 20 | 10 | 7 | 3 | 30:26 | 37 |
| ოსასუნა | 20 | 10 | 6 | 4 | 27:14 | 36 |
| მალაგა | 20 | 10 | 6 | 4 | 31:22 | 36 |
| ტოლედო | 20 | 10 | 6 | 4 | 27:20 | 36 |
| ლას პალმასი | 20 | 9 | 8 | 3 | 32:17 | 35 |
| ლეიდა | 20 | 8 | 8 | 4 | 25:19 | 32 |
| სევილია | 20 | 8 | 6 | 6 | 23:22 | 30 |
| ლოგრონიესი | 20 | 8 | 6 | 6 | 29:29 | 30 |
| რეკრეატივო | 20 | 8 | 5 | 7 | 16:13 | 28 |
| კომპოსტელა | 20 | 7 | 7 | 6 | 27:22 | 28 |
| ატლეტიკო B | 20 | 7 | 7 | 6 | 30:26 | 28 |
| მერიდა | 20 | 7 | 6 | 7 | 22:18 | 27 |
| მალიორკა B | 20 | 8 | 3 | 9 | 25:28 | 27 |
| ბადახოსი | 20 | 6 | 5 | 9 | 15:16 | 23 |
| ალბასეტე | 20 | 6 | 5 | 9 | 16:21 | 23 |
| ლეგანესი | 20 | 5 | 6 | 9 | 18:26 | 21 |
| ერკულესი | 20 | 5 | 4 | 11 | 18:31 | 19 |
| სპორტინგი | 20 | 4 | 6 | 10 | 14:26 | 18 |
| ეიბარი | 20 | 4 | 3 | 13 | 13:30 | 15 |
| ორენსე | 20 | 4 | 3 | 13 | 17:37 | 15 |
| ბარსელონა B | 20 | 3 | 5 | 12 | 12:21 | 14 |

# რაც არ გერგება...

## საფრანგეთი

XXI ტური

**რენი 1:1 მარსელი**

1:0 არიბაჟე (12), 1:1 კამარა (79)

**მონპელიე 1:1 ბორდო**

1:0 სილვესტრი (10), 1:1 ლასლანდი (45)

**ნანტი 2:0 ტულუზი**

1:0 და როშა (39), 2:0 მონტერუბიო (85)

**ოსერი 5:0 ლორიანი**

1:0 დიომედი (46), 2:0 დენიო (49), 3:0, 4:0 მარლე (51, 68), 5:0 დენიო (79)

**ლე ავრი 1:1 ბასტია**

0:1 ნე (17), 1:1 პანტიჩი (39)

**ლანსი 1:1 მონაკო**

1:0 ნუმა (31), 1:1 ტრეზეგე (83პ)

**პსჟ 1:2 ნანსი**

0:1 კონე (54), 0:2 ვიარი (59), 1:2 ფიშერი (90ს.კ.)

**მეცი 1:0 სტრასბური**

1:0 ბოფენი (90)

**ლიონი — სოშო**

*გადაიდო*



სარბიელის არქივიდან

საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები ლილიან ლასლანდი (მარცხნივ) და სილვენ ვილტორდი

საშობაო არდადეგების შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატი ამ უქმეებზე განახლდა. 21-ე ტურს ლიდერებისთვის ადგილი არ შეუცვლია — „მარსელი" ისევ პირველია, „ბორდო" კი მეორე. სამაგიეროდ, „რენმა" შინ „მარსელთან" დაკარგულ ორ ქულას გათამაშების ცხრილში მესამე ადგილის დაკარგვაც მიაყოლა, ბრეტონელებს მეზობელმა და ყველაფერში მოქიშპე ნანტელებმა გადაასწრეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, რენში წარმატების მიღწევა მარსელელებს ძალიან გაუჭირდათ, მათ მხოლოდ თამაშის მიწურულისღა შეძლეს ერთი ქულის მომტანი გოლის გატანა. მატჩის დაწყებამდე სტუმართა თავკაცი როლან კურბისი ამბობდა, მეტოქის დამარცხება ძალიან ძნელი იქნება, რადგან „რენი" თავს კარგად იცავსო. ამასთანავე, წვიმის გამო მინდორი დატბორილი იყო, რაც ტექნიკური, შემტევი ფეხბურთის თამაშს თითქმის შეუძლებელს ხდიდა და ამიტომაც შეხვედრა საყურებლად ულამაზო გამოდგა. თავიდანვე სტუმრები დაეუფლნენ ინიციატივას და ანგარიშის სწრაფად გახსნას შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ. მე-12 წუთზე კი ბრეტონელებმა ერთ-ერთი პირველი იერიში განახორციელეს და პირველი გოლიც მათ გაიტანეს: საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე დომინიკ არაბაჟე უფრო მაღლა ახტა, ვიდრე კრისტოფ დიუგარი და მისი თავურის მოგერიება სტეფან პორატომ ვერ შეძლო. „ჩვენ უკეთესად ვთამაშობდით, მაგრამ უხარისხო მინდვრის გადამკიდეს აღარც მეგონა, რომ საპასუხო გოლს შევაგდებდით, რადგან რაც დრო გადიოდა, მინდორი სულ უფრო და უფრო ტალახდებოდა" — თქვა მატჩის შემდეგ კურბისმა. მეორე ნახევარიც ისევე დაიწყო, როგორც პირველი. დაახლოებით თხუთმეტ წუთში კი კურბისმა ბრანდო და გურვენეკი მიახმარა თავისი გუნდის ნახევარდაცვას. ამის მერე მინდვრის შუაგულს მთლიანად „ოლიმპიკი" აკონტროლებდა, მაგრამ მას მოწინააღმდეგის კართან რაიმე ხიფათის შექმნა კვლავინდებურად უჭირდა — მასპინძელთა თითქმის მთელი გუნდი მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. 77-ე წუთზე „მარსელის" მწვრთნელმა მესამე ფეხბურთელიც შეცვალა — დიუგარის ტიტი კამარა ამჯობინა. გვინეელმაც იმედები გაუმართლა და ორიოდ წუთში რობერ პირესის პასით ანგარიშში წონასწორობა აღადგინა. ამას „რენი" თითქოს უნდა გაეტეხა, მაგრამ თამაშის ბოლო სახიფათო მომენტები სწორედ მასპინძლებმა შექმნეს, თუმცა ლიდერის დამარცხება მაინც ვერ მოახერხეს. „კამარას გოლის მერეც კი შეგვეძლო, მეტოქისთვის გამარჯვება გამოგვეგლიჯა ხელიდან. „მარსელის" დამარცხებამდე ცოტა დაგვაკლდა, მაგრამ ისინი თითქმის ყველაფერში იმდენად გვჯობნიან, რომ ამ ერთი ქულითაც საკმაოდ კმაყოფილნი ვართ. ძლიერ მოწინააღმდეგეს ჩემებმა არაფერი დაუთმეს, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ" — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბრეტონელთა თავკაცმა პოლ ლე გუენმა.

დაკარგული ორი ქულის მიუხედავად, „მარსელმა" „ბორდოსთან" ქულებში სხვაობა მაინც შეინარჩუნა, რადგან ჟირონდელებმაც მხოლოდ ფრეს მიაღწიეს „მონპელიესთან" გასვლით მატჩში. „მონპელიემ" კარგად ითამაშა, ძალიან კარგად, მაგრამ უფრო რეალისტ სტუმრებს თამაშის მოგება მაინც შეეძლოთ, რომ არა შეხვედრის მთავარი არბიტრის ყოვლად უაზრო მსაჯობა. კიდევ კარგი, ვერც „მარსელმა" მოიგო, თორემ მსაჯის რამდენიმე უხეში შეცდომის გამო შეიძლება ჩემპიონატს ინტერესიც კი დაკარგვოდა...

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად მასპინძელთა ნახევარმცველი ფილიპ დელეი და სტუმართა (და საფრანგეთის ნაკრების ახალი) მეკარე ულრიხ რამე აღიარეს. პირველი იმიტომ, რომ ძალიან ლამაზად ირჯებოდა და საკუთარი გუნდის თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო. მეორე კი იმიტომ, რომ პირველის წამოწყებული იერიშების მთავარი ჩამშლელი გახლდათ და თან თერთმეტმეტრიანიც მოიგერია. შეხვედრის 38-ე წუთი მიმდინარეობდა. „მონპელიე" 1:0-ს იგებდა თავისი სტოპერის ფრანკ სილვესტრის თავით გატანილი გოლის წყალობით. დელეი მოედნის შუაში ბურთს დაეუფლა და მეტოქის კარისკენ დაიძრა. იგი რამესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ საჯარიმოს შესასვლელთან ფრანსუა გრენე წამოეწია, მაისურზე დაქაჩა და წააქცია. ამისთვის გრენე სამართლიანად გააძევეს მინდვრიდან, მაგრამ მსაჯმა ამ მომენტშივე დაუშვა პირველი უხეში შეცდომა — პენალტი დანიშნა. არადა, წესის დარღვევა ნამდვილად საჯარიმო მოედნის გარეთ მოხდა. თერთმეტმეტრიანი „პარი სენ ჟერმენიდან" ახლახან გადმოსულმა ნიკოლა უედეკმა დაარტყა. მაგრამ რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, ნათქვამია. ექსპარიზელისა და რამეს ორთაბრძოლა ჟირონდელის სასარგებლოდ დასრულდა. ამ სამართლიანმა უიღბლობამ უედეკი გატეხა და მთელი დანარჩენი დროის მანძილზე მას თითქმის აღარაფერი გამოსდიოდა. სამაგიეროდ, ფაბიენ ბარტეზის ახალ დუბლიორს მსოფლიოს ჩემპიონთა ნაკრებში თითქოს ფრთები შეესხა და მან მერეც რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. მალე კი „ბორდომ" ანგარიში გაათანაბრა. ალი ბენარბიამ უზუსტესი პასი მიაწოდა იოან მიკუს, რომელმაც მეტოქის საჯარიმოში მაშინვე ლილიან ლასლანდი მოძებნა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დააწინაურა. ეს ლასლანდის მე-13 გოლი იყო. მეორე ტაიმში რიცხობრივ უმრავლესობაში მყოფმა მონპელიელებმა გაათრებით შეუტიეს, მაგრამ რამე მართლაც უზადოდ თამაშობდა. მის წინააღმდეგ ვერც ტიმოტე, ვერც ბარბოზა და ვერც დელეი ვერას გახდნენ, მეკარის ჩინებული თამაშით გულმოცემული ბორდოელები მალე თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. ერთხელ გოლიც გაიტანეს, მაგრამ... ბენარბიამ მარცხნიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა. „მონპელიეს" ახალ მეკარე სტეფან კასარს ერვე ალიკარტემ წესის დაურღვევლად შეუშალა ხელი ბურთის დაჭერაში და მსაჯმაც ხელი მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა, მაგრამ თანამსაჯთან საუბრის მერე გადაწყვეტილება შეცვალა და გოლიც გააუქმა. მატჩის ბოლოს ლასლანდს ბენარბიას პასის შემდეგ მაინც შეძლო გამარჯვების მომტანი გოლის გატანა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი კასარის კარის ზედა ძელს მოხვდა.

სეზონის დაწყების წინ ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან ახალდაკომპლექტებულმა „ნანტმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა და მესამე ადგილზეც აინაცვლა. [illegible] აუტსაიდერ „ტულუზს" [illegible] და ქულის აღების შანსიც არ დაუტოვეს. შეხვედრა ნანტელების შეტევებით დაიწყო და გოლი რომ 39-ე წუთამდე არ გაუშვა, „ტულუზი" საკუთარ მეკარე ტედი რიშერს უნდა უმადლოდეს, რომელმაც თავისიანები ბევრჯერ იხსნა. 39-ე წუთზე კი მაინც ვერაფერი გააწყო ფრედერიკ და როშასთან. მეორე ტაიმში სტუმრებმა თითქოს გაიფაფხურეს, მაგრამ მიკაელ ლანდროს კართან რეალური ხიფათის შექმნა ვერ შეძლეს. მატჩის ბოლოს კი ტურეს პასით ოლივიე მონტერებიომ წლეულს თავისი მეექვსე გოლი გაიტანა და „ტულუზი" შინ დამწუხრებული გაუშვა.

საფრანგეთის ორ თითქმის ყველაზე მდიდარ კლუბს — პსჟ-სა და „მონაკოს" ხელმძღვანელობა ახლახან გამოეცვალა. სათავადოს გუნდში მწვრთნელთა ცვლამ ასე თუ ისე სასურველი შედეგი გამოიღო და მათ ლანსში ქულაც მოიპოვეს. სამაგიეროდ, პარიზელთა ახალი პრეზიდენტის ხელში პსჟ-ს ჯერჯერობით უკეთესობა ვერ დაეტყო. გუნდმა ახალი თავდამსხმელებიც შეიძინა, ქსავიე გრაველენი „მონპელიედან", ბრუნო როდრიგესი „მეციდან" და სხვანი, მაგრამ „ნანსისთან" გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხა და შინ მესამე მარცხი იწვნია. კონესა და ვიარის გოლებს მსაჯის მიერ წამატებულ დროში ფიშერმა „უპასუხა" საკუთარი გუნდის სამწუხაროდ, მაგრამ ამას აღარაფერი შეუცვლია.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 21 | 14 | 6 | 1 | 38:14 | 48 |
| ბორდო | 21 | 14 | 3 | 4 | 44:18 | 45 |
| ნანტი | 21 | 9 | 7 | 5 | 29:22 | 34 |
| რენი | 21 | 9 | 6 | 6 | 26:25 | 33 |
| ლიონი | 20 | 8 | 8 | 4 | 26:19 | 32 |
| ოსერი | 21 | 8 | 6 | 7 | 29:25 | 30 |
| ბასტია | 21 | 9 | 3 | 9 | 27:25 | 30 |
| მონაკო | 20 | 8 | 5 | 7 | 28:20 | 29 |
| ლანსი | 21 | 8 | 5 | 8 | 29:26 | 29 |
| მონპელიე | 21 | 8 | 4 | 9 | 38:35 | 28 |
| პსჟ | 21 | 6 | 7 | 8 | 19:19 | 25 |
| მეცი | 21 | 6 | 7 | 8 | 19:28 | 25 |
| სტრასბური | 21 | 5 | 9 | 7 | 17:22 | 24 |
| ნანსი | 21 | 6 | 6 | 9 | 20:27 | 24 |
| ლე ავრი | 21 | 4 | 7 | 10 | 15:27 | 19 |
| ლორიანი | 21 | 4 | 7 | 10 | 17:32 | 19 |
| სოშო | 19 | 3 | 7 | 9 | 16:34 | 16 |
| ტულუზი | 21 | 2 | 9 | 10 | 14:33 | 15 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 13 |
| სილვენ ვილტორდი (ბორდო) | 12 |
| ფლორიან მორისი (მარსელი) | 11 |

## ბელგია

XX ტური

**გენტი 3:2 სტანდარდი**

სტანდარდი: რუნიე, ბლეი, ერნსტი, ჰელერსი, ბილიჩი, აფოლაბი, ლუკუნკუ, გოდფრუა, ფოლია (დე კონდე 78), ემილ მპენზა, მბო მპენზა

1:0 მარტენსი (1), 1:1 ე. მპენზა (5), 2:1 ბარკა (36), 2:2 ფოლია (61), 3:2 ბარკა (67)

**კორტრაიკი 3:2 ლიერსი**

ლიერსი: დემანი, ლარემანსი, ჰოფკენსი, ვან მეირი, პოორტერსი, სერნეელსი, ლეენი, ჰუისტრა (ვან დე ვეიერი 58), კავენსი, ზდებელი, ჰუისმანსი (ჰააგდორენი 58)

1:0 ბოონი (37), 2:0 დემკინი (51), 2:1 ვან დე ვეიერი (61), 3:1 ჰეიმანსი (78), 3:2 ვან დე ვეიერი (80)

**ბრიუგე 3:2 სენტ ტრუიდენი**

1:0 დე ბრიული (50), 2:0 ვერჰეიენი (52), 2:1 ტეპერსი (66), 3:1 კლასენი (74), 3:2 ტეპერსი (78)

**შარლერუა 2:1 ლოკერენი**

1:0 ალასანი (12), 1:1 ვონაჩეკი (30), 2:1 ბრონიო (86)

**მუსკრონი 2:3 ანდერლეხტი**

1:0 კასტო (15), 1:1 რადზინსკი (67), 2:1 ტანგე (68), 2:2 გოორი (74), 2:3 ბასეჯიო (85)

**ვესტერლო 2:1 ლომელი**

1:0 იანსენი (4), 2:0 ბრონიო (48), 2:1 სიმონსი (57)

**ბევერენი 0:3 ჰარელბეკი**

0:1 პაასი (10), 0:2 მაესი (55), 0:3 ზანგიონოვი (63)

**ეკერენი 1:0 აალსტი**

1:0 ჰოფმანსი (45)

**გენკი — ოსტენდე**

*გადაიდო*

# ბარკა სტანდარდის წინააღმდეგ

ბელგიის მე-20 ტურმა ქართველი ლეგიონერების გარეშე ჩაიარა. ორივე ჩვენებურის გუნდი სტუმრად თამაშობდა და ორივე ერთნაირი ანგარიშით 2:3 დამარცხდა. სხვათა შორის, ასეთივე ანგარიშით ამ ტურში კიდევ ორი მატჩი დასრულდა. ლაშა ჯაკობიას „სტანდარდმა" „გენტთან" წააგო, გელა შეყილაძის „ლიერსმა" კი გათამაშების აუტსაიდერთან „კორტრაიკთან".

„სტანდარდის" ხორვატმა მწვრთნელმა ტომისლავ ივიჩმა „გენტთან" მატჩში უარი თქვა თავის დაცვით სტილზე და ძირითად შემადგენლობაში ორივე ძმა მპენზა დააყენა. ამან მხოლოდ მაყურებლის იმედები გაამართლა, რადგან თამაში ძალიან ლამაზი გამოდგა, ივიჩისა კი არა. ანგარიში 35-ე წამზე გაიხსნა. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელმა ბარკამ მშვენიერი პასი მიაწოდა მარტენსს და 1:0. სტუმრებს საპასუხო გოლის გასატანად მხოლოდ ოთხი წუთი დასჭირდათ. მბო მპენზას წამოწყებული იერიში ემილ მპენზამ დააგვირგვინა. მალე კვლავ მარტნესს მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ „გენტის" თავდამსხმელმა ველარ ივარგა. ამის შემდეგ კი ინიციატივას მთლიანად „სტანდარდი" დაეუფლა. ორივე მპენზას, გოდფრუას და ლუკუნკუს ბევრჯერ ჰქონდათ თავიანთი გუნდის დაწინაურების შანსი, მაგრამ ხან ფორტუნა არ წყალობდათ, ხან კი მასპინძელთა მეკარე ჰერპოელი. აკი დაისაჯნენ კიდევ. 36-ე წუთზე ნილსენის პასით ბარკამ შეაგდო მეორე გოლი რუნიეს კარში. მეორე ტაიმში 54-ე წუთზე ლუკუნკუმ წითელი ბარათი მიიღო, თუმცა სტუმრებს კაცნაკლულობა არ დასტყობიათ. ისინი კვლავ აგრძელებდნენ შეტევას და 61-ე წუთზე ფოლიამ საჯარიმოდან ანგარიშში წონასწორობა აღადგინა. თუმცა იმ საღამოს „სტანდარდს" ქულის აღება არ ეწერა. რამდენიმე წუთში მინდორზე ახალგასულმა დეგრიზმა ბარკას კარგი პასი მიაწოდა და მანაც დუბლი შეასრულა.

ასევე სასიამოვნო საცქერი იყო „კორტრაიკისა" და „ლიერსის" დაპირისპირება. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, მაგრამ ვან მეირს მასპინძელთა მეკარე ვანდოორნმა აჯობა. მე-10 წუთზე დემკინმა ისეთ ბურთი ვერ მოათავსა „ლიერსის" კარში, რომლის არგატანაც გატანაზე გაცილებით ძნელი იყო. 37-ე წუთზე ბოონმა მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და თავისიანები დააწინაურა. მეორე ტაიმი „ლიერსის" შეტევებით დაიწყო, გოლი კი კვლავ „კორტრაიკმა" გაიტანა: ჰეიმანის და კეიტას ლამაზი კომბინაცია რუსმა ლეგიონერმა დემკინმა დაასრულა. აქ სტუმრების მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა ერთბაშად ორი ფეხბურთელი შეცვალა და გაუმართლა კიდეც. ჰუისტრას მაგივრად მინდორზე შესულმა ვან დე ვეიერმა ორჯერ იხეირა. თუმცა ამ ორ ბურთს შორის მეტოქის დაცვის შეცდომით ჰეიმანსმა ისარგებლა და თავისიანების მესამე გოლი შეაგდო. ერთი სიტყვით, „კორტრაიკმა", რომელსაც 6 სექტემბრის მერე გამარჯვების სიხარული არ ეგემა, სეზონში თავისი მეორე გამარჯვება მიითვალა.

ჩემპიონატის ლიდერმა „ბრიუგემ" მორიგი სამი ქულა მოიპოვა, თუმცა საშუალო ძალის „სენტ ტრუიდენთან" ნამდვილად გაუჭირდა. თუ ერიკ გერეტსის გუნდმა ასე გააგრძელა, მაშინ შეიძლება მას მალე გაასწროს ამჟამად მეორე ადგილზე მყომა „გენკმა", რომლის „ოსტენდესთან" თამაშიც უამინდობის გამო გადაიდო.

**დავით სიჭინავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 20 | 13 | 4 | 3 | 37:20 | 43 |
| გენკი | 19 | 11 | 5 | 3 | 41:23 | 38 |
| ლოკერენი | 20 | 10 | 4 | 6 | 41:27 | 34 |
| მუსკრონი | 20 | 9 | 7 | 4 | 41:33 | 34 |
| გენტი | 20 | 9 | 7 | 4 | 35:36 | 34 |
| ანდერლეხტი | 19 | 9 | 5 | 5 | 36:28 | 32 |
| სტანდარდი | 20 | 10 | 2 | 8 | 30:22 | 32 |
| ეკერენი | 20 | 9 | 4 | 7 | 35:30 | 31 |
| ვესტერლო | 20 | 9 | 3 | 8 | 41:34 | 30 |
| სტ. ტრუიდენი | 19 | 7 | 6 | 6 | 26:24 | 27 |
| ლიერსი | 20 | 8 | 3 | 9 | 35:34 | 27 |
| აალსტი | 20 | 7 | 5 | 8 | 30:35 | 26 |
| ჰარელბეკი | 20 | 5 | 8 | 7 | 26:30 | 23 |
| შარლერუა | 19 | 4 | 8 | 7 | 26:27 | 20 |
| ბევერენი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:32 | 16 |
| ლომელი | 20 | 4 | 4 | 12 | 21:33 | 16 |
| ოსტენდე | 19 | 2 | 6 | 11 | 18:45 | 12 |
| კორტრაიკი | 20 | 2 | 5 | 13 | 27:52 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კოლერი (ლოკერენი) | 13 |
| ისანსენი (ვესტერლო) | 12 |
| ულარი (გენკი) | 12 |
| ბრონიო (ვესტერლო) | 11 |

30 იანვარს, 16 საათზე „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება საქართველოს 1998 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საგანგებო შოუ-პროგრამით

გაატარეთ საღამო ქვეყნის უძლიერეს ათლეტებთან ერთად

ბილეთები იყიდება თბილისის სპორტის სასახლის ბუღალტერიაში
ტელეფონი: 36-34-27

# უცნაური თამაში




REUTERS ფრანკფურტიდან

**ფრანც ბეკენბაუერი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი და საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის სავარაუდო ლოგოს წარდგენისას**

„შემცირდა გერმანიის შანსი, უმასპინძლოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს" — ეწერა სააგენტო „რეიტერის" მიერ გავრცელებულ ცნობაში.

„ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა უარყო გერმანიის საფეხბურთო კავშირის ცნობა, თითქოს ფიფა მოითხოვდეს 2006 წლის ჩემპიონატის შემოსავლის დაბეგვრისგან განთავისუფლებას" — პირველ ცნობას მეორე მოჰყვა.

ბლატერი მადრიდში გახლდათ, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ აგებული ახალი საწვრთნელი ცენტრის პრეზენტაციაზე და სწორედ იქ ისაუბრა ამბავზე, რომელსაც ახლა ნათლად მოგახსენებთ.

„ეს ტყუილია, პირწმინდა ტყუილი. არანაირ ფინანსურ სიახლეზე არ გვილაპარაკია. არ გამოვრიცხავ, რომ გაუგებრობის წყარო გახლავთ შეკითხვა, რომელიც ჩვენ დაგვისვეს. გვკითხეს, ხომ არ აპირებთ ბეგარისგან განთავისუფლბისათვის ბრძოლასო, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მსგავსი არაფერი გვაქვს გეგმაში. ჩვენ ვმუშაობდით და ვიმუშავებთ შვეიცარიის კანონების მიხედვით" — ბრძანა ბლატერმა.

გაუგებრობა საფრანგეთის მიერ გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშს ორი დღის შემდეგ მოჰყვა. ფრანგებმა განაცხადეს, რომ გასულ წელს ჩატარებულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მათ 505 მილიონი ფრანკი მოუტანა (88,8 მილიონი დოლარი), მაგრამ ეს თანხა 45 პროცენტით დაიქვითა.

იმ განცხადებიდან ორი დღის შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ქვეყანას მოსდო, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მაძიებელ რვა სახელმწიფოს (გერმანია, ინგლისი, სამხრეთი აფრიკა, ეგვიპტე, მაროკო, ნიგერია, განა და ბრაზილია) ფიფამ მოსთხოვა შეჯიბრებიდან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ბეგარისგან იხსნან.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეს-მდივანმა მიხაელ ნოვაკმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ტყუილი კი არა, მართალია. ჩვენ ვიცოდით ამ მოთხოვნის შესახებ."

თუ ფიფა მართლა მოითხოვდა ჩემპიონატის შემოსავლის ბეგარისგან განთავისუფლებას, მაშინ გერმანიის საქმე ძალიან ცუდად წავიდოდა.

„ჩვენს ბრძოლას აზრი ეკარგებოდა, რადგან სახელმწიფოს ვერაფრით ვთხოვდით ბეგარისგან განთავისუფლებას" — თქვა გერმანიის საფეხბურთო კავშირის მდივანმა ჰორსტ შმიდტმა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარების ადგილი 20 მარტს უნდა დაასახელოს.

საინტერესოა, რომ სანამ ბლატერი სასტიკ უარზე დადგებოდა, ფიფას პრეს-ატაშემ ანდრეას ჰერენმა ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა.

„ვერფერს გეტყვით, რადგან დაბეჭდილი დოკუმენტი ხელთ არ მაქვს" — ამბობდა ის და დასძენდა, რომ ფიფას ერთადერთი თხოვნა საგადასახადო წესებთან დაკავშირებით, ძველი და ნაცადი გახლდათ — „ფული, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატისგან ფეხბურთელები იღებენ, უნდა დაიბეგროს არა ჩემპიონატის ჩატარების ქვეყანაში, არამედ ფეხბურთელების სახელმწიფოებში. რაც შეეხება საკუთრივ ფიფას, როგორც შვეიცარიული ორგანიზაცია, იგი შვეიცარიის საგადასახადო სისტემას ემორჩილება, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატს მოგებისთვის არ იყენებს."

ვინაიდან ბლატერმა უკან დაიხია (ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად), გერმანელებმა ისევ გაააქტიურეს მოქმედება. კვირას ლეგენდარულმა ლიბერომ, ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ქვეყნის საფეხბურთო კავშირს მთელი გერმანია უნდა შეუერთდეს. „კაიზერ ფრანცმა" სიამოვნებით აღნიშნა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ლიდერმა თომას ბიჩმა „ფეხბურთელ" კოლეგებს თანადგომა აღუთქვა.

„სხვებიც უნდა შემოგვიერთდნენ, პოლიტიკოსები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ელჩები...

გერმანია ყველა ქვეყანაში, ყველა ფრონტზე უნდა გააქტიურდეს" — თქვა ბეკენბაუერმა.

გასულ პარასკევს გერმანიის მეტოქის, ინგლისის კამპანიის თავკაცმა ალეკ მაკგიგენმა განაცხადა, გერმანელებს ამიერიდან ჩვენთან კონკურენცია ძალიან გაუჭირდებათო. ეს განცხადება კი მოჰყვა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე პრეზიდენტს, გერჰარდ მაიერ-ვორფელდის მიერ აფრიკელებისათვის შეთვლილ წინადადებას, 2006 წლის პირველობისთვის ბრძოლაში გაგვამარჯვებინეთ და 2010 წლისთვის მხარს დაგიჭერთო.

„ჩვენ ეს წინადადება არ მივიღეთ" — თქვა პასუხად სამხრეთი აფრიკის წარმომადგენელმა დენი ჯორდანმა.

„ჩვენ ინგლისელებივით აგრესიულები არ ვართ" — ეს ისევ ბეკენბაუერის სიტყვებია — „ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა კარგად იცის, რომ გერმანია საუკეთესო არჩევანია, თანაც მალულად არაფერს ვაკეთებთ და არავის არაფერს ვთავაზობთ".

## პორტუგალია

### XVIII ტური

**ბეირა მარი 4:2 ბრაგა**

1:0, 2:0 პაულო სერჟიო (40, 45), 3:0 ფარუ (49), 3:1 ლობაო (51), 4:1 ვალდერი (85), 4:2 სილვა (93)

**ფარენსე 2:1 სალგეირუში**

1:0 ჰასანი (43), 1:1 პაულინიო (79), 2:1 კარლოშ კოშტა (80)

**ალვერკა 2:1 კამპომაიორენსე**

1:0 აზევედო (1), 2:0 ნანდინიო (41), 2:1 ჟორჟინიო (43)

**მარიტიმუ 3:2 უნიაუ**

1:0 ტონი (7), 1:1 დინდა (38), 1:2 რეინალდო (39), 2:2 ტულიპა (57), 3:2 ალექსი (89)

**გიმარაეში 2:3 ბოავიშტა**

0:1 ისაიაში (10), 1:1 ჟილმარი (17), 1:2 ტიმოფტე (45), 2:2 ედმილსონი (52), 2:3 კევედო (83)

**აკადემიკა 1:2 შავეში**

0:1 ლუიზაო (21), 0:2 ვანდერლეი (54), 1:2 დარიო (79)

**ამადორა 0:1 ბენფიკა**

0:1 საუნდერსი (87)

**სპორტინგი 0:0 სეტუბალი**

**რიუ ავე — პორტუ**

*წუხელ გვიან გაიმართა*

ჩრდილოპორტუგალიური გუნდის, „გიმარაეშის" გულშემატკივრებს „ბოავიშტასთან" შინ 2:3 წაგება რომ არ მოეწონებოდათ, ფაქტია, მაგრამ წყენა მათ ერთობ ხულიგნურად გამოხატეს: მიუვარდნენ სააგენტო „ლუშას" ფოტოკორესპონდენტს და ცემეს. საბედნიეროდ ფოტოკორესპონდენტი მსუბუქად დაშავდა.

განრისხებული ქომაგები სტადიონს არ ტოვებდნენ, რის გამოც „ლუშას" რამდენიმე კორესპონდენტს რამდენიმე საათით შეყოვნება, უფრო სწორედ თავის შეფარება მოუხდათ.

არათუ ჩვენთვის, თავად პორტუგალიური პრესა-ტელევიზიისთვის დარჩა გაუგებარი, რას ერჩოდნენ გულშემატკივრები სააგენტოს თანამშრომლებს, სამაგიეროდ კევედოს მიერ „გიმარაეშის" გარში საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე გატანილმა გამარჯვების გოლმა მოიტანა ცხადი შედეგი — „ბოავიშტა" მესამე ადგილზე ალზევდა და „სპორტინგს" გადაასწრო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 12 | 3 | 2 | 38:16 | 39 |
| ბენფიკა | 18 | 12 | 3 | 3 | 38:12 | 39 |
| ბოავიშტა | 18 | 11 | 5 | 2 | 30:16 | 38 |
| სპორტინგი | 18 | 9 | 6 | 3 | 32:16 | 33 |
| ამადორა | 18 | 8 | 6 | 4 | 21:18 | 30 |
| უნიაუ | 18 | 8 | 4 | 6 | 19:15 | 28 |
| სალგეირუში | 18 | 6 | 7 | 5 | 26:26 | 25 |
| სეტუბალი | 18 | 6 | 4 | 8 | 15:24 | 22 |
| ბრაგა | 18 | 5 | 6 | 7 | 26:35 | 21 |
| ფარენსე | 18 | 6 | 3 | 9 | 16:25 | 21 |
| გიმარაეში | 18 | 5 | 5 | 8 | 25:21 | 20 |
| ბეირა მარი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:20 | 20 |
| ალვერკა | 18 | 4 | 8 | 6 | 17:22 | 20 |
| რიუ ავე | 17 | 5 | 4 | 8 | 14:25 | 18 |
| მარიტიმუ | 18 | 4 | 6 | 8 | 19:23 | 18 |
| შავეში | 18 | 5 | 3 | 10 | 20:33 | 18 |
| კამპომაიორენსე | 18 | 4 | 3 | 11 | 19:32 | 15 |
| აკადემიკა | 18 | 3 | 4 | 11 | 19:33 | 13 |

## საბერძნეთი

მე-15 ტური: პანიონისი — ეთნიკოსი (ასტირი) 2:0; ოლიმპიაკოსი — ქსანტი 3:1; პაოკი — პრუდეფტიკი 1:0; აეკი — ირაკლისი 2:2; იონიკოსი — პანილიაკოსი 1:1; აპოლონი — ეთნიკოსი (პირეოსი) 4:0; არისი — ოფი 3:1; კავალა — ვერია 2:1; პანელეფსინიაკოსი — პანათინაიკოსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 12 | 1 | 2 | 40:11 | 37 |
| აეკი | 15 | 10 | 3 | 2 | 34:13 | 33 |
| პაოკი | 15 | 10 | 2 | 3 | 26:16 | 32 |
| პანათინაიკოსი | 15 | 10 | 1 | 4 | 31:19 | 31 |
| ქსანტი | 15 | 8 | 4 | 3 | 17:12 | 28 |
| არისი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:19 | 27 |
| ოფი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:19 | 23 |
| იონიკოსი | 15 | 6 | 3 | 6 | 25:18 | 21 |
| პანიონისი | 15 | 6 | 2 | 7 | 29:20 | 20 |
| ირაკლისი | 15 | 5 | 5 | 5 | 23:18 | 20 |
| ეთნიკოსი (ა) | 15 | 6 | 2 | 7 | 21:24 | 20 |
| კავალა | 15 | 5 | 5 | 5 | 26:32 | 20 |
| პანილიაკოსი | 15 | 5 | 2 | 8 | 19:23 | 17 |
| პრუდეფტიკი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:22 | 13 |
| პანელეფსინ. | 15 | 2 | 7 | 6 | 11:19 | 13 |
| აპოლონი | 15 | 2 | 4 | 9 | 19:40 | 10 |
| ვერია | 15 | 1 | 4 | 10 | 6:23 | 7 |
| ეთნიკოსი (პ) | 15 | 0 | 4 | 11 | 4:37 | 4 |

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ნაკრებისა და თურქული „გალათასარაის" მცველი იულიან ფილიპესკუ კარიერას სავარაუდოდ სევილიურ „ბეტისში" გააგრძელებს. „ამ წუთისათვის მეტად ბედნიერი ვარ. მართალია, სამედიცინო შემოწმება ჯერ არ გამივლია, მაგრამ ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება". რაც შეეხება ესპანური კლუბის პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერას, მისი თქმით, ფილიპესკუ მსოფლიოს საუკეთესო ლიბეროა.

**გერმანულ გაზეთ „ბილდის" ცნობით, ბუნდესლიგის ყველაზე კარგად ანაზღაურებადი ფეხბურთელები კრასიმირ ბალაკოვი, შტეფან ეფენბერგი და მათიას ზამერი არიან . „შტუტგარტის" ბულგარელი გამთამაშებელი ბალაკოვი, „ბაიერნის" გამოცდილი ნახევარმცველი ეფენბერგი და დორტმუნდის „ბორუსიას" ლიბერო ზამერი წელიწადში 6,5 მილიონ მარკას იღებენ (3,88 მილიონი დოლარი). შემდეგი ზამერის თანაკლუბელი ანდრეას მიოლერია — 6,2 მილიონი მარკა (3,70 მილიონი დოლარი), ხოლო მეხუთე „ბაიერნის" ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი ელბერი გახლავთ — 2,98 მილიონი დოლარი.**

**იტალიის** ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი" და თურქეთის უძლიერესი კლუბი „გალათასარაი" ვერა და ვერ შეთანხმდნენ ჰაქან შუქურის მარჩელო ლიპის გუნდში გადასვლაზე. როგორც იტალიური პრესა ირწმუნება, ტრანსფერი საბოლოოდ ჩაიშალა. „იუვენტუსის" წარმომადგენლებთან მოსალაპარკებლად თურქი თავდამსხმელი იტალიაში, კერძოდ მილანში პირველად 6 იანვარს ჩავიდა, მაგრამ ოთხწლიან კონტრაქტსა და 12 მილიონ დოლარზე უარი განაცხადა. მეორედ შუქური პირდაპირ ტურინს ეწვია, თუმცა ამ ვიზიტმაც უშედეგოდ ჩაიარა. „იუვენტუსის" პრესმდივნის თქმით, თავად კლუბები ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ შეთავაზებული პირობებით შუქური უკმაყოფილო დარჩენილა.

**ესპანურ ტელევიზიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდიელი ფეხბურთელი, დიდი იოჰან კრუიფის ვაჟი — ჟორდი კრუიფი „მანჩესტერ იუნაიტედმა" სეზონის ბოლომდე პრიმერა დივიზიონის ლიდერ ვიგოს „სელტას" ათხოვა, ოღონდ დაუყოვნებლივ გამოძახების პირობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისელთა პირველივე მოთხოვნაზე იგი მანჩესტერში უნდა დაბრუნდეს. კრუიფი, ვინც თითქმის მთელ დროს ოლდტრეფორდელთა სათადარიგო სკამზე ატარებდა, ესპანეთში ადრეც თამაშობდა — „ბარსელონას" ღირსებას იცავდა.**

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის ლიდერ როტერდამის „ფეიენოორდის" თავკაცმა, ცნობილმა სპეციალისტმა ლეო ბეენჰაკერმა თავის კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა, რის საფუძველზეც იგი როტერდამში 2000 წლის ივნისამდე დარჩება, იუწყება სააგენტო ANP. ბეენჰაკერი, რომელიც ადრე ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს, ამსტერდამის „აიაქსს" და მადრიდის „რეალს" წვრთნიდა, „ფეიენოორდს" 1997 წლის ნოემბერში ჩაუდგა სათავეში.

**ესპანურმა „რასინგმა" თავის ახალ დამრიგებლად პარაგვაელი გუსტავო ბენიტესი დაამტკიცა. ამ თანამდებობაზე იგი ნანდო იოსუს შეცვლის, რომელმაც პოსტი წლის დასაწყისში დატოვა. ადრე ბენიტესი ჩილეს „კოლო კოლოში" მუშაობდა. „რასინგში" კიდევ ერთი სიახლეა — სანტანდერელებმა მადრიდის „რეალიდან" ემილიო ამავისკა გადაიბირეს.**

**პორტუგალიის** პირველობის ლიდერი „პორტუ" თანახმაა, გენუის „სამპდორიაში" ბრაზილიელი ლეგიონერი დორივა გაუშვას. სავარაუდოდ, დორივა იტალიურ კლუბთან ოთხნახევარწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო „პორტუ" მის სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს მიიღებს. ბრაზილიელი გენუაში ამ კვირაში ჩავა.

**გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავმა იურგენ კლინსმანმა სინანულით აღნიშნა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ (DFB) მას გამოსათხოვარი მატჩის გამართვაზე უარი განუცხადა. „ძალიან მინდოდა გერმანელ გულშემატკივრებს სათანადოდ გამოვმშვიდობებოდი, ისინი ხომ მეტად მიყვარს, მაგრამ ფედერაციიდან უარი შემომითვალეს, რამაც საშინლად დამწყვიტა გული" — განაცხადა წარსულში გერმანიის ნაკრების შესანიშნავმა თავდამსხმელმა. 32 წლის კლინსმანს ეროვნულ გუნდში 108-ჯერ უთამაშია, ხოლო ფეხბურთიდან წასვლის შესახებ საფრანგეთი 98-ის დასრულებისას აცნობა საზოგადოებას. ახლა იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. „ამიერიდან გამოსათხოვარი მატჩები აღარ გაიმართება", გამოაცხადა DFB-ს ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა და დაამატა, გამონაკლისი მხოლოდ ლოთარ მათეუსი იქნებაო. შეგახსენებთ, რომ მიუნხენის „ბაიერნის" ვეტერან ლიბეროს ნაკრებში 130 შეხვედრა აქვს ჩატარებული.**

**გერმანული** ბუნდესლიგის ლიდერ მიუნხენის „ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა განაცხადა, გვინდა, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" დევიდ ბექემი გადავიბიროთ, მაგრამ ეს ბიჭი ძალიან ძვირი ღირსო. „ბექემის ყიდვა დაახლოებით იგივეა, რაც „სფაის გიორლზის" შეძენა" — იხუმრა ჰიონესმა. მისივე თქმით, მაღალი დონის ნახევარმცველის შესაძენად მიუნხენელები ესპანურ და იტალიურ კლუბებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

**ავსტრიული „ლინცერის" მთვარი მწვრთნელის თანამდებობა ცნობილმა ხორვატმა სპეციალისტმა ოტო ბარიჩმა დატოვა. ავსტრიის რადიოში გამოსვლისას მან აღნიშნა, ნახევარმცველ პეტერ შტიოგერის, ნორვეგიელ გეირ ფრიგაარდის და პოლონელ იერჟი ბრჟეჟეკის გაყიდვის შემდეგ გუნდის წარმატების აღარ მჯერაო. მანვე დაამატა, რომ ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის საკითხებს კლუბის ხელმძღვანელობა უმისოდ წყვეტდა. ბარიჩი ავსტრიაში სამ გუნდს წვრთნიდა და შვიდჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. ამასთანავე 1985 წელს თასთა თასის ფინალში ვენის „რაპიდი" გაიყვანა, ხოლო 1994-ში უეფას თასის ფინალში — „ზალცბურგი".**

**კვიპროსის** ჩემპიონატი. მე-15 ტური: დოქსა — ანორთოსისი 0:4; ომონია — ევაგორასი 6:1; ნეა სალამინა — აპოელი 0:1; აეკი — ალკი 5:1; ენოსისი — აელი 0:2; არისი — ოლიმპიაკოსი 0:2; აპოლონი — ეთნიკოსი 1:2. 38 ქულით გათამაშებას ლიდერობს „ანორთოსისი". მას 4 ქულით ჩამორჩებიან ნიქოზიის გუნდები „ომონია" და „აპოელი".

**ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „ბლექბერნ როვერსმა" პირველი დივიზიონის „კრისტალ პალასიდან" ოთხ მილიონ გირვანქად (6,63 მილიონი დოლარი) მეტ იანსენი შეიძინა. 21 წლის თავდამსხმელი „ბლექბერნის" ახალდანიშნულმა თავკაცმა ბრაიან კიდმა ექვსწლიან ხელშეკრულებაზე დაიყაბულა. „თავიდან „ნიუკასლში" მსურდა გადასვლა, მაგრამ ორშაბათს ბრაიან კიდს შევხვდი, რომლის მიერ შემოთავაზებულმა პირობებმა და სამომავლო გეგმებმა ძალიან მომხიბლეს. კონტრაქტიც დაუყოვნებლივ გავაფორმეთ" — განაცხადა იანსენმა.**

# დღეს ხანდახან ღამეც მოსდევს


ტიერი ანრი გუშინ იუვენტუსელი გახდა

სარბიელის არქივიდან

**მწვერვალი** ერთია, მასთან მისასვლელი გზა კი ბევრი. მწვერვალისკენ მიმავალ გზას ბევრი შესდგომია, მაგრამ მიზნისთვის ერთეულებს მიუღწევიათ. მიუღწევიათ, გამარჯვება აღუნიშნიათ, მერე კი უკან დაბრუნებულან.

მწვერვალი ადამიანის ცნობიერებაში უმაღლესთანაა გაიგივებული. მისკენ აღმავალი გზით მივდივართ. ბუნებრივია, მწვერვალიდან დაშვება დაღმასვლაა.

ქვემოთ არც მთამსვლელებზე და მათ მიღწევებზე ვაპირებთ საუბარს, უბრალოდ, ისეთ გუნდზე გვინდა ვთქვათ, რომელმაც მწვერვალი რამდენიმე წლის წინ დაიპყრო, შემდეგ იქვე გაჩერდა, ახლა კი დაღმართს დაადგა.

„იუვენტუსზე" გიამბობთ.

იტალიის ჩემპიონი დღესდღეობით კრიზისშია. რაც უნდა უარვყოთ, ეს ასეა. „იუვენტუსის" მდგომარეობის გაუარესებას გასულ სეზონშიც ელოდნენ, მაგრამ მაშინ „შავ-თეთრებს" მსგავსი რამ არ დასტყობიათ, ახლა კი ზეობა მარცხმა შეცვალა. ხომ ცნობილია, რომ აღმართი დაღმართის გარეშე არ არსებობს. ვერც „იუვენტუსი" ივლიდა მუდამ ზევით.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „იუვენტუსი" დაეშვა. დაეშვა მწვერვალებიდან, თუმცა არ დაცურებულა. ასეთი დონის კლუბები, როგორც წესი, არასდროს ვარდებიან უფსკრულში, უბრალოდ, ფეხი უბრუნდებათ.

რამ გამოიწვია „იუვენიტუსის" დაღმასვლა?

...1996-97 წლების სეზონში, როდესაც „იუვენტუსმა" იტალიის ჩემპიონატი მოიგო, სკუდეტოს მფლობელი „მილანი" მეტად შერცხვა. კლუბი სადღაც დაბლა, მიუღებელ ადგილას ჩაეშვა. ეს მოულოდნელობად აღიქვეს, თუმცა სხვა მხრივ ეს მოსალოდნელიც იყო. კლუბი მანამდე ყველაფერს იგებდა, მეტოქეებს აცამტვერებდა, ქვას ქვაზე არ ტოვებდა. ფეხბურთელები გადაიღალნენ. მოსაგები მოიგეს და თითქოს ბრძოლის ინტერესიც დაკარგეს. ყოველივე ამას მცდარი სატრანსფერო პოლიტიკაც დაერთო — „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი მილიონებს იხდიდა ვარსკვლავებში, საბოლოო ჯამში კი ვერაფერი მიიღო. გუნდი აირია და ეს დღესაც გრძელდება.

„იუვენტუსსაც" იგივე დაემართა — სამჯერ იტალიის ჩემპიონობას, იტალიის თასს, იტალიის ორ სუპერთასს, ჩემპიონთა თასს, ევროპის სუპერთასს და საკონტინენტთაშორისო თასს ფეხბურთელთა ფსიქოლოგიის გარკვეულწილად მოშლა რომ მოჰყოლოდა, რა გასაკვირია? გამარჯვება, გამარჯვება, გამარჯვება და ასე დაუსრულებლად. მოთამაშეებმა მარცხის სიმწარე დაივიწყეს, შესაბამისად, გამარჯვების სიტკბოც გადაავიწყდათ და შედეგიც სახეზეა.

„იუვენტუსისა" და „მილანის" კრიზისის მიზეზი ერთნაირია, მეორე მიზეზი კი მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. თუ სილვიო ბერლუსკონი კლუბის მწვრთნელს უძლიერეს მოთამაშეებს ჩუქნიდა, ტურინული კლუბის ხელმძღვანელობა პირიქით იქცეოდა — რობერტო ბაჯო, პაულო სოუზა, ალენ ბოქშიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი, მორენო ტორიჩელი და სხვები ბოლო წლებში „იუვენტუსის" ღირსებას იცავდნენ, ახლა კი სხვათა ინტერესებს ემსახურებიან. ყველა ზემოხსენებული ფეხბურთელი ძლიერი მოთამაშეა და ამას დღესაც ამტკიცებენ, მათ გარეშე დარჩენილი „იუვენტუსი" კი დასუსტდა. ტურინელთა მოქმედება სატრანსფერო ბაზარზე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოსდა გუნდი სახელგანთქმულ ფეხბურთელებზე უარს ამბობდა. რა მოიტანა ამან? მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი შედეგი — სხვა კლუბებიდან გადაბირებულმა ნაკლებად ცნობილმა მოთამაშეებმა „იუვენიტუსს" სახე დაუკარგეს და ბრძოლისუნარიანობა დაუქვეითეს.

— იცით, მომბეზრდა გამარჯვებები. „იუვენტუსში" ყველაფერს მივაღწიე. ახლა სხვაგან ვცდი ბედს — ეს სიტყვები ტურინელთა თავკაც მარჩელო ლიპის ეკუთვნის. „მაესტრომ", როგორც მას „იუვეს" ფეხბურთელები უწოდებენ, „ბებერ ქალბატონთან" ერთად საკლუბო დონეზე ყველაფერს მიაღწია. მარჩელო ლიპიმ „იუვენტუსთან" განშორება გადაწყვიტა. როდესაც მწვრთნელმა შესაძლებლობები ამოწურა, რა გასაკვირია, გუნდი მიღწეულზე რომ გაჩერდეს? ამ დროს თავკაცის უმტკივნეულო ცვლილებაა საჭირო. ვერ ვიტყვით, „იუვენტუსში" მწვრთნელთა ცვლამ უგრძნობლად ჩაიარაო, რადგან ლიპის ბოლო სეზონში კლუბს რაც ემართება, ნათლად ჩანს.

დღეს უკვე ცნობილია, რომ სეზონის ბოლოს მარჩელო ლიპი „იუვენტუსს" დატოვებს. მას კარლო ანჩელოტი შეცვლის, „პარმას" მწვრთნელყოფილი.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე? დღესდღეობით არც დადებითი და არც უარყოფითი. რაც შეეხება თავად კლუბის რჩეულს, როგორც ფეხბურთელი ძლიერი იყო და საკმაოდ ტიტულოვანიც (იტალიის ორგზის ჩემპიონი და ოთხგზის თასის მფლობელი, ჩემპიონთა, საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასის ორგზის გამარჯვებული). აი, ანჩელოტი-მწვრთნელს კი ტიტული არ მოუგია, თუმცა მისი ხელმძღვანელობით მოთამაშე „პარმა" კარგი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ახალ სეზონს ტურინის „იუვენტუსი" ახალი მწვრთნელით შეხვდება. ცვლილებებია შემადგენლობაშიც — რამდენიმე დღის წინ გადაბირებული ხუან ესნაიდერს გუშინ ფრანგი ტიერი ანრიც დაემატა. მსოფლიოს ჩემპიონმა და „მონაკოს" აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა „იუვენტუსთან" 2003 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.

ერთი რამ უდავოა — ცვლილებები უკვალოდ არ ჩაივლის. რა როგორ იქნება, მომავალი დაგვანახებს.

ლაშა გოდუაძე


კარლო ანჩელოტი — „იუვენტუსის" მომავალი მწვრთნელი

სარბიელის არქივიდან

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

## სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 იანვარი | | | |
| ბრედფორდი — კრისტალ პალასი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

**ინგლისის თასი.** მესამე წრე გადათამაშება

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 იანვარი | | | |
| ბარნსლი — სვინდონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 იანვარი | | | |
| ნოთს ქაუნთი — შეფილდ იუნაიტედი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A.** გადადებული მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 იანვარი | | | |
| ვენეცია — ემპოლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**ესპანეთის თასი.** მერვედფინალი. პირველი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 იანვარი | | | |
| სელტა — დეპორტივო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სოსიედადი — ატლეტიკო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ბენიდორმი — ბარსელონა | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| ლევანტე — ვალენსია | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| რეალი — ვილიარეალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ესპანიოლი — ვალიადოლიდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ბილბაო — რასინგი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| ბეტისი — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |

**ამხანაგური მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 იანვარი | | | |
| საფრანგეთი — მაროკო | 1,3 | 3,8 | 8,0 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 იანვარი | | | |
| რეინჯერსი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტამპა ბეი — ბუფალო | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| ნეშვილი — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კალგარი — დეტროიტი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ფინიქსი — სენტ ლუისი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 20 იანვარი | | | |
| აილენდერსი — ფლორიდა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დალასი — ტორონტო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ანაჰაიმი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 21 იანვარი | | | |
| ბოსტონი — ოტავა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფილადელფია — ვაშინგტონი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| პიტსბურგი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| დეტროიტი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ჩიკაგო — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სენტ ლუისი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| კოლორადო — კარლაგრი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ლოს ანჯელესი — ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| სან ხოსე — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

**ჩემპიონთა თასი**

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| დინამო | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |

**თასების თასი**

| | |
|---|---|
| ლაციო | 2,0 |
| ჩელსი | 2,0 |
| მალიორკა | 3,0 |
| ლოკომოტივი | 8,0 |
| მაკაბი | 15,0 |
| ვარტექსი | 50,0 |
| ვალერენგა | 50,0 |
| პანიონიოსი | 50,0 |

**უეფას თასი**

| | |
|---|---|
| რომა | 3,0 |
| პარმა | 3,0 |
| მარსელი | 4,0 |
| ბორდო | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 6,0 |
| ბოლონია | 8,0 |
| ლიონი | 10,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,8 |
| ჩელსი | 1,8 |
| ასტონ ვილა | 4,0 |
| არსენალი | 5,0 |
| ლივერპული | 5,0 |
| ლიდსი | 8,0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,01 |
| ლევერკუზენი | 8,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ინტერი | 1,9 |
| ფიორენტინა | 2,0 |
| პარმა | 4,0 |
| მილანი | 5,0 |
| ლაციო | 5,0 |
| იუვენტუსი | 8,0 |
| რომა | 8,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2,0 |
| რეალი | 2,0 |
| მალიორკა | 2,5 |
| სელტა | 4,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 5,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი | 1,3 |
| ბორდო | 2,5 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,3 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 6,0 |
| ბოავიშტა | 6,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი | 1,5 |
| აიაქსი | 2,2 |
| ვიტესი | 5,0 |
| ეინდჰოვენი | 6,0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,1 |
| გენკი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,1 |
| ლეგია | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| გურნიკი | 8,0 |
| ვიძევი | 8,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 2,5 |
| ტრაბზონი | 5,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,2 |
| სელტიკი | 3,0 |
| კილმარნოკი | 6,0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| შტურმი | 1,7 |
| რაპიდი | 2,0 |
| გრაცერი | 4,0 |
| ლინცერი | 8,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სერვეტი | 1,8 |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| ციურიხი | 2,5 |
| ლოზანა | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მარსელო მალამ მოცელა


სარბიელის არქივიდან

მარსელო რიოსი

დასაწყისი პირველ გვერდზე

თამაში პირველმა „მისტერ ეისმა“ — გორან ივანიშევიჩმა იუარა ზურგის ტკივილების გამო. ხორვატმა ტრავმა ორი კვირის წინ მიიღო, მაგრამ საბოლოო გამოჯანმრთელებას არ დაუცადა, გასულ კვირაში კუინგის საჩვენებელ ტურნირზე ითამაშა და ტურნირისთვის უკეთ მომზადების ნაცვლად იქ გამოსვლის შანსი მოისპო.

„შარშანდელი ხელი ხომ ცუდი გამოდგა ჩემთვის, მაგრამ ამ სეზონის დასაწყისი მთლად ჯოჯოხეთს ემგვანება. მე ხომ იუნიორი აღარ ვარ, რომ მეორე — მესამე წრეში გასვლა მაკმაყოფილებდეს, აქ გამარჯვებისთვის ჩამოვედი“ — განაცხადა ივანიშევიჩმა, რომელსაც სლემის ტურნირებში ხელმოცარულთაგან „საუკეთესოს“ იარლიყის კარიერის ბოლომდე შერჩენა ემუქრება. გუშინვე იგი შინ გაფრინდა და ჩოგნის ხელში აღებაც კიდევ ორისამი კვირით აეკრძალა.

ივანიშევიჩზე დიდი იმედგაცრუება სულ მალე მსოფლიოს მეორე ჩოგან მარსელო რიოსს ელოდა. კიკინიან ჩილელს ტრავმები გასული სეზონიდან აწუხებს — იდაყვის, მარჯვენა და მარცხენა ფეხის კუნთების თუ მყესების დაზიანებას ბოლოს ზურგის ტკივილებიც დაემატა.

გასულ კვირაში მარსელოს ოკლენდის ტურნირის მიტოვებაც მოუხდა ტრავმის გამო, თუმცა მელბურნში შარშანდელ ფინალში გასვლით მოპოვებული ქულების დაცვის იმედი არ დაუკარგავს. მას მუხლი მართლაც დროულად მოუშუშდა, მაგრამ გუშინ დილით წამოტკივებული ზურგის გულდაგულ გასინჯვას საავადმყოფოში კატასტროფული დიაგნოზი მოჰყვა — ხერხემლის მეორე მალის გაბზარვა.

ჩემპიონობის უილბლო მაძიებელმა, ივანიშევიჩისგან განსხვავებით, პირველობა ყოველგვარი კომენტარის თუ პრესკონფერენციების გარეშე დატოვა, ახსნა-განმარტებების მიცემა კი ექიმ დევიდ ბოლზონელოს დაავალა.

„მსგავსი ტრავმების შემდეგ თამაშს ჩვეულებრივ ორ თვეში იწყებენ, ასე რომ, სპორტს რიოსი, ალბათ, შუაგულ მარტში დაუბრუნდება. შეიძლება ტრავმის სახელწოდება ძალიან შთამბეჭდავად ჟღერდეს, მაგრამ იგი თითის მოტეხვისგან ბევრით არაფრით განსხვავდება — თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად წარიმართება“ — ექიმის განცხადება იმას ნიშნავს, რომ ბოლო ხანებში პირველი ჩოგნობისთვის მებრძოლ რიოსს კლასიფიკაციაში დაწინაურება კი არა, მალე საუკეთესოთა ათეულიდან გავარდნა ემუქრება.

რიოსს კინაღამ ტურნირზე მეორედ განთესილი ალექს კორეტხაც მიჰყვა უკან. ესპანელს მთელი ოთხი სეტის მანძილზე, მსოფლიოს 116-ე ჩოგანმა, იაპონელმა ტაკაო სუძუკიმ გაუშრო სისხლი — 21 ეისითა და ბადესთან ხშირი და წარმატებული გასვლებით.

საავტომობილო ფირმის მფლობელის მოგვარეს გამარჯვებამდე ერთი გეიმილა აკლდა, მაგრამ მეოთხე სეტში 5:4-ზე საკუთარი მოწოდება დაკარგა, ტაი-ბრეიკზე 3:0 უპირატესობაც გაანიავა, მერე კი დაღლილობამ და კორეტხას გამოცდილებამ თავისი გაიტანა — 6:3, 4:6, 3:6, 7:6 (7:5), 6:2 სამ საათსა და 35 წუთში.

ესპანელმა მეტოქის შესაქებად სიტყვა არ დაიშურა, ფანტასტიკურად თამაშობდაო, აი, ინგლისურად რის ვაივაგლახით მოლაპარაკე იაპონელს კი საკუთარი შეხედულების გამოთქმა, ხოლო ჟურნალისტებს ამის გაგება გვარიანად გაუჭირდათ: „მე შევეცადე, ალელვება არა, მერე შევეცადე მებრძოლა, განსაკუთრებით დასაწყისი, მაგრამ იგი კარგად თამაში, მე კი ამასთან ერთად არც ისე“.

აზიის მეორე ჩოგანმა თავისი პერსონით მოულოდნელად დაინტერესებულ პრესას დაზეპირებული ფრაზებით გაუმჟღავნა, ზამთრის ოლიმპიადის ქალაქ საპოროში დავიბადე, ძალიან მიყვარს თხილამურებით სრიალი და ტოკიო „ჯაინთსის“ (კეტბურთის კლუბია) და რომის ლაციოს გულშემატკივარი ვარო.

**პირველი წრე:** პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — ოლივერ გროსი (გერმანია) 6:2, 6:4, 6:3; კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 7:6, (7:4), 6:3; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:3, 6:2, 6:1; რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:7 (4:7), 6:2, 6:4, 6:2; მარკ ფილიპუსისი (14, ავსტრალია) — ჯეფ გრანტი (აშშ) 6:2, 6:4, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ტომას იოჰანსონი (16, შვედეთი) 6:3, 3:6, 3:6, 7:6 (7:4), 6:0; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ჟან მაიკლ გემბილი (აშშ) 6:3, 7:6 (7:5), 6:4; მარატ საფინი (რუსეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:2, 7:6 (7:4), 7:6 (7:3)

კორეტხას არ იყოს, უცნობ მეტოქესთან დიდი ბრძოლა გადახდა პირველ წრეში გამარჯვების კიდევ ერთ პრეტენდენტ ვინუს უილიამსსაც.

შავკანიანი ვენერას მძლავრ დარტყმა-მოწოდებებს ხორვატი სილვია ტალაია იმავე ძალით ვერ პასუხობდა, სამაგიეროდ, დაუზარებლად დასდევდა ბურთებს ერთი კუთხიდან მეორეში და უფროსი უილიამსის შეცდომებიც არ აყოვნებდა. 18 წლის ვინუსმა პირველი სეტი დათმო, მესამეში ბლომად ბრეიკ-პოინტები თუ მატჩ-პოინტები გაანიავა, თუმცა მძიმე სიტუაციას როგორღაც მაინც დაუძვრა 3:6, 6:3, 9:7.

„დღეს საზიზღრად ვითამაშე, მაგრამ თავს ერთი რამით მაინც დავიმშვიდებ — ამაზე უარესად გარჯა აღარ შეიძლება, ასე რომ, აწი მხოლოდ მოვუმატებ“ — აღნიშნა მატჩის შემდეგ უილიამსმა.

**პირველი წრე ქალები:** იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ანა გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:4, 6:2; ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 6:2; კონჩიტა მარტინესი (9, ესპანეთი) — ადრიან გერში (ჩეხეთი) 6:3, 6:3; პატი შნიდერი (8, შვეიცარია) — ერიკა დე ლოუნი (აშშ) 6:3, 3:6, 6:4; დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 6:3, 6:4; ანკე ჰუბერი (გერმანია) — ირინა სპინლეა (13, რუმინეთი) 7:5, 6:4; ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) — კატარინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) 6:3, 7:5; ემილი ლუა (საფრანგეთი) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:1.

**სიდნეი. ავსტრალია. ადიდასის პირველობა. ტარდება ჰარდზე საპრიზო 800 ათასი $**

**ქალების მეოთხედფინალი:** ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 6:2, 6:3; მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — დომინიკ ვან რუსტი (8, ბელგია) 6:2, 6:0; ბარბარა შუტი (ავსტრია) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (3, ესპანეთი) 1:6, 6:1, 6:0; შტეფი გრაფი (6, გერმანია) — ვინუს უილიამსი (4, აშშ) 4:6, 6:2, 6:4

**ნახევარფინალი:** დევენპორტი — გრაფი 6:2, 7:5; ჰინგისი — შუტი 3:6, 6:3, 7:6 (9:7)

**ფინალი:** დევენპორტი — ჰინგისი 6:4, 6:3

სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურნირის გენერალურ რეპეტიციაზე მთავარი როლი ლინდსი დევენპორტმა ირგუნა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავის მთავარ კონკურენტ მარტინა ჰინგისს პირად შეხვედრებში ანგარიში გაუთანაბრა (7:7) და თანაც ათქმევინა, ეს რა უბედურებაა, მეგონა, კაცს ვეთამაშებოდიო.

**კაცების მეოთხედფინალი:** ალექს კორეტხა (1, ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (7, ესპანეთი) 6:3, 4:6, 2:0 (ტრავმა); კაროლ კუჩერა (4, სლოვაკეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 3:6, 6:4, 6:1; ტოდ მარტინი (8, აშშ) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 6:3, 6:7 (4:7), 6:4; ტომას მუსტერი (ავსტრია) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 3:6, 6:2, 6:3

**ნახევარფინალი:** კორეტხა — კუჩერა 7:5, 6:4, მარტინი — მუსტერი 6:2, 6:1

**ფინალი:** მარტინი — კორეტხა 6:3, 7:6 (7:5)

28 წლის ტოდ მარტინმა მორიგი ნაბიჯი გადადგა საუკეთესო ათეულში. ტრავმების გამო დაკარგული ადგილის დასაბრუნებლად, თანაც რიოს-სამპრასის არყოფნაში ავსტრალიის ღია პირველობის უპირველეს ფავორიტთა სიაშიც გაერია.

**მელბურნი. კოლონიალ კლასიკი (საჩვენებელი ტურნირი) ტარდება ჰარდზე**

**ნახევარფინალი:** ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ანდრე აგასი (აშშ) — 6:4, 7:6 (7:5); მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:7 (2:7), 7:5, 6:3

**მე-3 ადგილისათვის:** აგასი — ჩანგი 6:3, 6:2

**ფინალი:** ენკვისტი — ფილიპუსისი 6:4, 6:1

**ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰაინეკენის პირველობა. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 345 ათასი $**

**ნახევარფინალი:** სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — ბრეტ სტივენი (ახ. ზელანდია) 6:4, 6:4; ტომი ჰაასი (5, გერმანია) — ფელიქს მანტია (2, ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:3

**ფინალი:** შალკენი — ჰაასი 6:4, 6:4

22 წლის ჰოლანდიელმა გამარჯვება თავისი „ყველაზე დიდი ქომაგის“, უმცროსი ძმის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც ლეიკემიით ზუსტად სამი წლის წინ გარდაიცვალა.

ავთანდილ სვანიძე


REUTERS მელბურნიდან

ტაკაო სუძუკი



# უფულოდ თამაში არ იქნება!

საქართველოს კალათბურთელთა ჩემპიონატის მეორე წრე 20-ის ნაცვლად 25 იანვარს დაიწყება — გვაუწყა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ. მისივე თქმით, შესაძლოა მხოლოდ ექვსმა გუნდმა განაახლოს პირველობა, რადგან დანარჩენ ოთხს კვლავაც გადასახდელი აქვს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა. ფედერაცია კი თავისაზე დგას და, უფულოდ არ გათამაშებთო — აფრთხილებს ურჩ გადამხდელებს.

რაც შეეხება ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის გათბობას, ამ მხრივ თითქოს ყველაფერი მოგვარდა. ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ საამისოდ უკვე თანხაც გაიღო და დღედღეზე საწვავსაც შემოვიტანთო, გვამცნო მეგრელაძემ.

გიორგი ბიძაშვილი



# ვაგებთ და ვაგებთ...

რა არის მიზეზი არ ვიცით, მაგრამ მეორე შეხვედრაა ბორჯღალოსნები საშუალო დონის ევროპულ კლუბებთან მარცხდებიან და თანაც როგორ.

„აბერავონთან“ (უელსის ჩემპიონატში 4 ქულით ბოლო ადგილზეა) პირველი მარცხის შემდეგ 0:42 ქართველებმა გუშინწინ მეორე მატჩი ითამაშეს. ამჯერად მათი მეტოქე უელსის პირველობის მეოთხეადგილოსანი „ნისი“ იყო.

პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 26:7 იყო „ნისის“ სასარგებლოდ. მატჩი კი უელსელებმა 59:14 მოიგეს. ყველაფერი ეს კი უელსში მოხდა, სადაც ბორჯღალოსნები ამ ქვეყნის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ.

ამ მარცხმა ბორჯღალოსნებს საბოლოოდ მოუსპო ჯგუფიდან გასვლის შანსი — 14 გატანილით და 101 გაშვებულით ქართველი მორაგბეები ბოლო ადგილზე არიან.

პაატა თოთაძე



# ჩაიჩოჩეთ, ჩემპიონებო!


REUTERS ვენგენიდან

მსოფლიოს თასებისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ოლიმპიურ და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ ახალგაზრდა პატივმოყვარე სპორტსმენები.

სათხილამურო კროსში როგორც მოსალოდნელი იყო ლიდერობს მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნორვეგიელი ბიორნ დელი. სპეციალისტების ვარაუდით უბერებელ ნორვეგიელს შვედ ელოფსონის სახით ერთობ საშიში მეტოქე გამოუჩნდა.

ბენტე მარტინსენი — ეს ის ქალია, რომელმაც სრულიად დაურიდებლად გაკაფა რუსული ტყე და სათავეში მოექცა მსოფლიოს თასის გათამაშებას კროსში.

ლიდერის პოზიცია დათმო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბიატლონში ოლე ბიორნდალენმა. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მოვლენა დროებით ხასიათს ატარებს. ნორვეგიელი ბოლო ორი კვირის მანძილზე ორჯერ გამოვიდა კროსმენთა შეჯიბრებაში და ამან, ცხადია, თავისი დაღი დაასვა შედეგებსაც.

სწრაფდაშვებასა და ორჭიდში (სუპერ გიგანტი + სლალომი) გამარჯვების შემდეგ ავსტრიელ ჰერმან მაიერსა და ნორვეგიელ ლასე კიუსს (ფოტოზე) შორის მანძილი ისეთი თვალსაჩინო აღარ არის. საერთო ჩათვლაში მესამე ადგილიც ნორვეგიელ ამოდტს უჭირავს, რაც ჩრდილოელთა დუეტს ერთობ საშიშს ხდის.

ორჭიდელთა ჭიდილში ლიდერი კარგა ხანია არ იცვლება. მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ნორვეგიელი ბიარტე ვიკი ყველა შეჯიბრებას იგებს.

**ბიატლონი.** ვაჟები

1. სვენ ფიშერი (გერმანია) 221 ქ; 2. ფრანკ ლუკი (გერმანია) 209; 3. პაველ როსტოვცევი (რუსეთი) 206

ქალები

1. უში დიზლი (გერმანია) 268 ქ; 2. მაგდალენა ფორსბერგი (შვეცია) 258; 3. სიმონე გრეინერ-პეტერ-მემი (გერმანია) 204

**სათხილამურო კროსი.** ვაჟები

1. ბიორნ დელი (ნორვეგია) 560 ქ; 2. მათიას ფრედრიქსონი (შვეცია) 388; 3. მიხაილ ბოტვინოვი (ავსტრია) 336

ქალები

1. ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) 512; 2. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) 432; 3. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) 375; 4. ნინა გავრილიუკი (რუსეთი) 371; 5. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 346; 6. ანტონინა ორდინა (შვეცია) 309; 7. ოლგა დანილოვა (რუსეთი) 302; 8. სვეტლანა ნაგეიკინა (რუსეთი) 247; 9. ანფისა რეზცოვა (რუსეთი) 231; 10. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 230

**სამთო თხილამურები.** ვაჟები

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1021 ქ; 2. ლასე კიუსი (ნორვეგია) 852; 3. კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 809

ქალები

1. ალექსანდრა მაიზინცერი (ავსტრია) 1157 ქ; 2. ჰილდა გერგი (გერმანია) 877; 3. მარტინა ერტლი (გერმანია) 760

**ორჭიდი** (ტრამპლინი + 15 კმ კროსი)

1. ბიარტე ვიკი (ნორვეგია) 1245 ქ; 2. კარი მანინენი (ფინეთი) 1127; 3. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) 777

**ტრამპლინი**

1. იანე აჰონენი (ფინეთი) 1223 ქ; 2. მარტინ შმიდტი (გერმანია) 878; 3. კაცუიოში ფუნაკი (იაპონია) 873



# რომი ერთ დღეში არ აშენებულა

## თქვა მაიკ ტაისონმა ბოთას წაქცევის შემდეგ



ბოთას აღსასრული



დასაწყისი პირველ გვერდზე

ორწელიწადნახევარია მაიკ ტაისონს არ მოუგია. უფრო სწორად, ბოლო ორწელიწადნახევარში ტაისონმა ორად ორჯერ იბრძოლა და ორჯერვე წააგო ევანდერ ჰოლიფილდთან. ბოლო წაგებას დისკვალიფიკაცია, სამმილიონიანი ჯარიმა და წელიწადნახევრიანი უქმად გდება მოჰყვა.

და აი, ტაისონი დაბრუნდა. ბოთასთან შერკინება არ იყო საჩემპიონო, მაგრამ მასში ინტრიგა იდო. ერთის მხრივ, მესამედ მოსული ტაისონი, რომელიც ბოლოხანია კეთილი კაცივით ირჯება და რომლის გამოც მწვრთნელი ტომი ბრუქსი ამბობდა, რომ ასეთი ძლიერი, ტაისონი ბიჭობაშიც არ ყოფილაო არ ყოფილა და მეორეს მხრივ, უტეხი, გამძლე და ჯანიანი ფრანსუა ბოთა — ნალდი, თუმცა ტაისონზე ბევრად დაბალი კლასის მოკრივე.

მწვრთნელ ბრუქსის ნალაპარაკევი, ასეთი ტაისონი თქვენ არ გინახავთო, მართალი გამოდგა. ასეთი ტაისონი მართლაც არ გვინახავს. ასეთი პრიმიტიული და ბავშვივით გაჯიუტებული მაიკი ჰოლიფილდთან პირველ ბრძოლაშიაც არ გვახსოვს. თუმცა ის კი ნალდია, რომ მაიკი ძალმოსილების მფრქვეველი კაცია და ტყუილადაც არ ეძახიან „მოარულ ნაღმს"...

ბოთა ზულუსურ ნაბადში გამოხვეული ამოვიდა რინგზე. თეთრად მოსილს ერთიანად ჩაშავებული ტაისონი შემოეგება: თავზე მუსლიმთა სალოცავი ფაფანაკი ეხურა და შავ მაისურზე თეთრად ეწერა — „იყავ ნალდი". მას თავისი საყვარელი შავი ნიფხავი და შიშველ ფეხზე მორგებული შავი საკრვო წუღები ეცვა.

რეფერი სტილმა „ბოქს" უთხრა და მოწინააღმდეგენი ეკვეთნენ ერთმანეთს. აქედანვე უნდა ითქვას, რომ ეს კლინჩის საღამო იყო. მოწინააღმდეგეთა მოკლე შეტევებს ტაქტიკურად ჩახუტება მოჰყვებოდა ხოლმე. ტაისონი, განთქმული თავისი ელვისებური კომბინაციით, დამქცეველი ძალით და თვალშეუდგამი აგრესიით, ძველებურად არ ირჯებოდა. ის თითო სწრაფი მოქნევით ცდილობდა ფონს გასვლას და უკან იხევდა. ბოთა თამამი იყო, ადლიან მუშტებს ჭკვიანურად იქნევდა და ორ წუთში ცხადი შეიქნა, რომ ძველ ბურთა ამაყმა შთამომავალმა ლეგენდარული ჩემპიონი გაამწარა.

პირველი რაუნდი იწურებოდა, როცა ხალხმა დაინახა, რომ ღიმილიანი და კეთილი ტაისონი მისი იმიჯმეიკერების და ცოლის, მონიკა ტერნერის შეკოწიწებული კაცია და ეს კაცი იმ წამსვე დაინგრევა, როგორც კი ნამდვილი ტაისონი გამწარდება. რინგის კუთხეში, ტაისონი და ბოთა კლინჩში შევიდნენ და მათი დაშორიშორებით უკვე ტანჯულმა რეფერიმ შუაში ჩადგომა სცადა. სწორედ ამ დროს, ტაისონმა იღლიის ქვეშ მოიქცია ბოთას ცაცია და მთელი ძალით მოუჭირა. ტკივილით გადაზნექილ ბოთას თავპირი დაუცველი დაურჩა და მაიკმა მოსცხო და მოსცხო. ეს დარტყმები არ ჩაითვლებოდა, მაგრამ გონს მოსულმა ბოთამ თავადაც აფეთა ტაისონს. რეფერი სტილმა ორი გოლიათი ვერ დააშოშმინა და რინგზე ორგკომიტეტმა და „კორნერის" ხალხმა იხუვლა. გამხეცებულ და გონებადაბინდულ ტაისონს ძლივს გამოგლიჯეს ბოთას ხელი. ბედად, გონგი იყო და მოკრივენი კუთხეებში დასხეს.

„რა სისულელეებს აკეთებ?" — ჩასძახოდა ტაისონს ბრუქსი — „რისთვის ვემზადებოდით და რას აკეთებ? ნუ ჩხუბობ ასე მარტივად. იმოძრავე, შემოვლით დაარტყი, ჯები ამუშავე, გაინძერი. ნუ ელოდები ერთ დარტყმას".

ერთი დარტყმის ლოდინი სანოკაუტო დარტყმის უნარის მქონე მოკრივეთა, „ქეიოფანჩერთა" ძველი და უინტერესო ტაქტიკაა. ამ ტაქტიკას მხოლოდ ის ალამაზებს, რომ თუ ეს ერთი დარტყმა გავიდა, ბრძოლა ნოკაუტით დასრულდება.

მეორე რაუნდი ტაისონის დაწყნარებას დასჭირდა. მაიკი აშკარად ნერვებმოშლილი ჩანდა და მორიგი კლინჩისას იდაყვიც სცა სახეში ბოთას. ამისათვის რეფერიმ ქულა აართვა ტაისონს. ბრძოლის შემდეგ მაიკმა განმარტა, იმიტომ გავბრაზდი, რომ პირველი რაუნდის ბოლოს ბოთამ ვერაგულად მაძგერა თავი წარბშიო. თავის ვერაგულ ძგერებას ადრე ჰოლიფილდის ყური შეეწირა. ასე რომ, ბოთა იოლად გადარჩა — ტაისონი მხოლოდ ხელის მოტეხვას უპირებდა და არა მოჭმას.

მესამე რაუნდის შუიდან ბოთას დაღლა დაეტყო — ცხვირსა და მარჯვენა უპეზე ტაისონის ნიშნები გამოუჩნდა. ამავე რაუნდში მაიკმა საბოლოოდ ჩამოქნა თავისი პირადი ტაქტიკა — ერთი დარტყმით გადაეწყვიტა შეხვედრის ბედი. მესამე შესვენებისას ეკრანიდან მოისმა ტაისონის ფრაზა: „მაინც მივწვდები". ბრუქსის ლაპარაკს ის ყურს არ უგდებდა.

მეოთხეში ბოთა სრულ საკლინჩო ტაქტიკაზე გადავიდა: შეუტევდა, ჩაეხუტებოდა. ტაისონი სრულიად აყოლოდა ამგვარ მსვლელობას, მაგრამ მისი დარტყმები აშკარად უფრო სახიფათო იყო. თანაც, ბოთას უკვე პირი დაელო და გადაადგილება სულ უფრო და უფრო უჭირდა. ეს იყო მოლოდინის წუთები: ტაისონი ელოდა სასურველ წამს, ბოთა კი ალბათ ელოდა იღბლის გადაწყვეტილებას.

წამი მეხუთე რაუნდის მიწურულს დადგა: ბოთამ შეტევა წამოიწყო და სწორედ აქ გაიხსნა კვანძი — აფრიკელის წამოწყებული შეტევით ტაისონმა იხეირა. მისი შემხვედრი გამოდგა ბევრად უფრო სწრაფი, მოუხელთებელი და დამანგრეველი. ტაისონის მოკლე, ხისტი, მჭრელი მარჯვენა ბოთას ნიკაპს შეასკდა და დაფშვნა. ბოთა მოწყვეტით წაიქცა. თვლა შვიდამდე იყო მისული, როცა აფრიკელმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ წამომდგარი კვლავ დაბარბაცდა, თოკებს მიენარცხა და ჩაიკეცა. რეფერიმ ბრძოლის შეწყვეტის ნიშანი მისცა. გამოლაყებულ ბოთასთან პირველი ტაისონი მიიჭრა, წამოდგომაში დაეხმარა. მოსაფერებელი სიტყვები უთხრა და ჩაკოცნა. ისინი შემდეგშიაც არაერთხელ გადაეხვივნენ ერთმანეთს. ტაისონმა კვლავ გაიხსენა, რომ კარგი ბიჭია და ჯენტლმენური დაიჭირა. ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა.

მაიკი პრესკონფერენციაზეც ჯენტლმენურად ირჯებოდა.

რატომღაც თავის მომავალზეც ლაპარაკი რომის ერთ დღეში ვერაშენების ანდაზას დაუკავშირა და კიდევ ერთხელ გაიმეორა, კარიერაში კიდევ სამ ბრძოლას გავმართავ და რინგს გამოვეთხოვებიო. შემდეგ მოწინააღმდეგედ ტაისონს გერმანელი აქსელ შულცი შეურჩევია. ეს ის კაცია, ვინც ორჯერ ცდილა ფედერაციის (იბფ) ჩემპიონად გახდომას და ორჯერვე დამარცხებულა — ბოთასთან და ბეხერკ ჯორჯ ფორმენთან. ბრძოლა სააპრილოდაა დაგეგმილი.

საკონფერენციო დარბაზი ტაშით შეეგება იქ შემოსულ ფრანსუა ბოთას, რომელმაც თქვა, რომ მოგების დიდი იმედი არ ჰქონია, თუმცაღა ძალიან კმაყოფილია, რომ ათრაუნდიანი ბრძოლის ნახევარი ვაჟკაცურად გაატარა რინგზე.

„თქვენ კი ამბობდით, რომ პირველ რაუნდში წავიქცეოდი", — გაიცინა ბოთამ, ამ ნამდვილმა ბურმა.

ტაისონის ამჟამინდელ მრჩეველს, თეთრ საქმოსან შელი ფინკელს კი გულში დიდი ამბავი ამოუჭრია: ნოემბერში მესამედ უნდა შეახვედროს მაიკი და ჰოლიფილდი.

მაშ ასე, ტაისონი მესამედ მოვიდა რინგზე. თუმცა, ბოთას წაქცევამ ეგრეც ვერ გამოაჩინა რა მოხდება მძიმე წონაში მისი მორიგი დაბრუნების შემდეგ.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ჰაშეკი ძლიერია

**სახელოვანი მონრეალი და მისი მეკარე ჯეფ ჰეკეტი შაბათ-კვირის გმირებად იქცნენ. კანადელთათვის უჩვეულო რამ ხდება — ოდესღაც დაუმარცხებელი კლუბი პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის. ჰოდა, ამ უქმეებზე ორი გამარჯვებით მათ გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ. ჰეკეტმა კი ორ მატჩში ერთი გოლიც არ გაუშვა**

15 იანვარი

**ბუფალო — ბოსტონი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 ჰოლცინგერი 22'38 (13); 2:0 ბრაუნი 44'59 (11), 2:1 ხრისტიჩი 51'13 (18)

**ვაშინგტონი — მონრეალი 0:3**

0:1 0:2 0:0

0:1 კინტალი 10'42 (4); 0:2 სავაჟი 20'50 (8); 0:3 რეკი 39'17 (9)

**ნიუ ჯერსი — ტამპა 3:1**

0:0 3:1 0:0

0:1 ტაკერი 25'18 (11); 1:1 როლსტონი 27'21 (11); 2:1 სიკორა 34'18 (12); 3:1 პედერსონი 38'12 (6)

მასპინძლებმა სამივე გოლი რიცხვმრავლობაში გაიტანეს.

**რეინჯერსი — ჩიკაგო 1:3**

0:1 1:0 0:2

0:1 გილმორი 1'10 (10); 1:1 სავარი 30'21; 1:2 მანელიუკი 44'48 (5); 1:3 ამონტე 59'57 (24)

**ნეშვილი — ფინიქსი 2:0**

1:0 0:0 1:0

1:0 რონინგი 13'46 (11); 2:0 ჯონსონი 59'01 (9)

**ანაჰაიმი — დალასი 1:3**

0:2 0:1 1:0

0:1 მოდანო 5'27 (15); 0:2 ლეჰტინენი 13'11 (15); 0:3 კინი 21'10 (3); 1:3 ოლაუსონი 48'50 (9)

დალასელთა ლიდერმა მაიკ მოდანომ 3 (1+2) ქულა ჩაიწერა.

**სან ხოსე — პიტსბურგი 3:2**

0:1 0:0 3:1

0:1 იაგრი 2'20 (16); 1:1 მატო 43'25 (3); 1:2 კოვალიოვი 46'09 (11); 2:2 ლოური 52'51 (5); 3:2 ნოლანი 57'47 (7)

16 იანვარი

**ბოსტონი — ტამპა 2:2**

0:0 1:1 1:1 0:0

0:1 კუბინა 21'02 (3); 1:1 ედისონი 39'40 (9); 2:1 დიმაიო 49'42 (3); 2:2 გრეტონი 54'40 (2)

**ფილადელფია — ტორონტო 3:4**

3:2 0:1 0:1

1:0 ბრინდამორი 1'09 (17); 1:1 სალივანი 6'31 (4); 1:2 ბერეზინი 10'52 (10); 2:2 ლინდროსი 11'22 (24); 3:2 ლეკლერი 15'13 (27); 3:3 სალივანი 32'57 (5); 3:4 დ. კინგი 54'41 (16)

ერიკ ლინდროსი 56 (24+32) ქულით კვლავ დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში, მაგრამ მისმა ფილადელფიამ ვერ შეძლო დალასის სეზონური რეკორდის (15 წაუგებელი თამაში) გამეორება.

**მონრეალი — რეინჯერსი 3:0**

1:0 0:0 2:0

1:0 მალახოვი 7'34 (7); 2:0 სავაჟი 46'32 (9); 3:0 დამფუსი 59'55 (8)

ჯეფ ჰეკეტმა (17 მოგერიება) ზედიზედ მეორე შატაუტს იოლად მიაღწია.

**აილენდერსი — ფლორიდა 0:1**

0:1 0:0 0:0

0:1 სისარელი 12'23 (6)

სიმბოლურია, რომ ფლორიდას მოგება ამ თამაშის შემდეგ პაველ ბურეში გაცვლილმა ედ ჟოვანოვსკიმ და დეივ განიემ მოუტანეს, სწორედ მათი კომბინაციის მერე გაიტანა ვეტერანმა დინო სისარელიმ ერთადერთი გოლი და კარიერაში საიუბილეო 1200-ე ქულა დააგროვა.

**კოლორადო — სენტ ლუისი 2:0**

1:0 0:0 1:0

1:0 მილერი 7'59 (7); 2:0 კამენსკი 58'39 (8)

**ლოს ანჯელესი — პიტსბურგი 1:5**

0:2 1:2 0:1

0:1 მორანი 10'39 (2); 0:2 იაგრი 11'30 (17); 0:3 ლანგი 27'06 (18); 1:3 გელი 34'49 (1); 1:4 ჰრდინა 37'08 (5); 1:5 ჰეჩერი 45'31 (7)

**სან ხოსე — კალგარი 3:3**

2:1 0:1 1:1 0:0

1:0 ნოლანი 7'26 (8); 1:1 ფლერი 18'19 (20); 2:1 ნოლანი 19'55 (9); 2:2 ფლერი 25'58 (21); 2:3 უიმერი 50'06 (5); 3:3 მარლო 59'59 (8)

**ვანკუვერი — დეტროიტი 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 ლარიონოვი 5'36 (6); 1:1 ოლუნდი 24'49 (6); 2:1 კლეტი 42'48 (2); 2:2 მაკარტი 46'43 (11)

**ოტავა — ბუფალო 1:1**

0:1 1:0 0:0 0:0

0:1 ჟიტნიკი 2'31 (5); 1:1 იაშინი 28'23 (20)

დომინიკ ჰაშეკმა მხოლოდ ერთი შაიბა გაუშვა, რაც ზოგ შატაუტზე ძვირად ფასობს. უკანასკნელ პერიოდში (სულ დომინატორმა 38 დარტყმა მოიგერია) ალექსეი იაშინის მეთაურობით მასპინძლებმა შავი დღე დააყენეს მეტოქეთა დაცვას, მაგრამ ჰაშეკს ვერაფერი მოუხერხეს.

**კაროლინა — ვაშინგტონი 2:3**

1:1 0:0 1:1 0:1

1:0 პრიმო 6'16 (21); 1:1 ბონდრა 9'26 (14); 2:1 უესლი 40'59 (4); 2:2 ბელოუზი 50'11 (8); 2:3 მილერი 60'09 (1)

17 იანვარი

**ედმონტონი — დეტროიტი 4:1**

0:0 4:1 0:0

1:0 მიურეი 23'27 (10); 1:1 აიზერმანი 27'31 (19); 2:1 დევერო 29'01 (6); 3:1 სმიტი 33'21 (5); 4:1 ფალუნი 36'58 (10)

**ჩიკაგო — ფინიქსი 1:1**

0:0 0:1 1:0 0:0

0:1 ბრირი 32'11 (6); 1:1 ბრაუნი 50'02 (1)

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS პარიზიდან

# არასოდეს თქვა არასოდეს

შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე“ დოპინგ-სკანდალში გახვეულმა ოთხგზის „მთის მეფემ“ — რიშარ ვირანკმა დეკემბერში სპორტიდან წასვლის შესახებ განაცხადა. მაგრამ პენსიაზე ყოფნა მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდა: იტალიური „პოლტის“ მფლობელმა ფრანკო პოლტიმ (ფოტოზე მარცხნივ) ხეირიანი კონტრაქტი შესთავაზა და ვირანკის განდეგილობაც მაშინვე დასრულდა — რიშარი წლეულსაც შეუტევს მთიან ტრასებს.




REUTERS სიდნეიდან

ფოტოგრაფებს უყვართ ბრასი! ეს ფაქტია. ოსტატის ხელში ბრასი ვირტუალურ რამედ იქცევა. ოღონდ მოცურავემაც უნდა შეუწყოს ხელი. მსოფლიოს თასზე ჩინელი ქალი ჰუი, კი, თუმცაღა ვერცხლის მედალს დასჯერდა, მაინც ფოტორეპორტიორ დევიდ გრეის რჩეულია. წყლის სამყაროს გადაღებისას ხომ გამარჯვებულის ძებნა სულაც არ არის აუცილებელი.

გერმანიის სამთო კურორტ ბერხტესგადენში სნოუბორდისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელმა კიმ სტეისი ბაუერმა ყველას დაუმტკიცა მისი მჯობნი რომ ჯერ არავინაა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე ფრანგი დორიანე ვიდალი და შვედი ანა ჰელმანი გავიდნენ.



REUTERS ბერხტესგადენიდან

ზოგიერთს მიღწევას ძალიან სწრაფად დაუფასებენ ხოლმე, ზოგჯერ კი ამას ათწლეულები სჭირდება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა (ფოტოზე შუაში) 18 იანვარს თავგამოჩენილი თანამემულე სპორტსმენები საპატიო ლეგიონის ორდენებით დააჯილდოვა: მსგავსი პატივი ამჯერად ცურვაში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონს როქსანა მარასინეაუს და შორეული 1956 წლის ოლიმპიადის მარათონში გამარჯვებულ ალან მიმუნს ერგოთ.



REUTERS პარიზიდან




REUTERS ზაკოპანედან

*მსოფლიოს თასის შეჯიბრის ფინელი ლიდერი იმგვარად აფრინდა ტრამპლინიდან, რომ ლამის არის თავზე გადაუშხუილა საჰაერო ბურთებს, სათხილამურო შეჯიბრის გასალამაზებლად რომ დაბერეს პოლონეთის კურორტ ზაკოპანეში.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია **დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე **რედაქტორი** თამაზ მიგრიაული **მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი **ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე **ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი **კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი **ინფორმაციის განყოფილების გამგე** სოსო კოტორეიშვილი **ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29